პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 სექტემბერი, 1939 წ.
საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო
№ 28 (115) ფასი 30 კაპ.

გაიხსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობა

25 სექტემბერს საღამოს 9 საათზე მწერალთა სასახლის სხდომათა დარბაზში გაიხსნა საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობა.

ყრილობა გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის პ/მგ. მდივანმა, ორდენოსანმა პოეტმა ამხ. **ალიო მაშაშვილმა.**

ყრილობას ესწრებიან და მის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. **ი. თავაძე**, საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი **ა. ფადეევი**, მოძმე სომხეთის საბჭოთა მწერლების კავშირის პ.-მგ. მდივანი ამხ. **რ. გრიგორიანი**, რუსი ორდენოსანი მწერლები და პოეტები—**ოლგა ფორში, პ. ანტაკოლსკი, სერგეი მიხალკოვი.**

ყრილობას ესწრებიან დელეგატები აფხაზეთიდან, აჭარიდან, სამხრეთოსეთიდან, ქუთაისიდან და ხელოვნებისა და კულტურის მუშაკები.

ყრილობის ხელმძღვანელი ორგანოები

ყრილობამ საქმიან პრეზიდიუმში ერთხმად აირჩია: **ალიო მაშაშვილი, ი. თავაძე, ა. ფადეევი, ო. ფორში, რ. გრიგორიანი, შ. დადიანი, ა. მირცხულავა, ვ. ხატიაშვილი, ლ. ქიაჩელი, დ. გულია, გ. ტაბიძე, ი. გრიშაშვილი, ი. მოსაშვილი, ს. ჩიქოვანი, ს. ეული, ნ. ლორთქიფანიძე, შ. რადიანი, გ. ლეონიძე,** პროფ. **ა. შანიძე, კ. გამსახურდია, დ. თომაშვილი, პ. ინგოროყვა, ბ. ჟღენტი, ს. შანშიაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ვ. გაფრინდაშვილი** და **რ. ჩოჩიევი.**

სამდივნოში ერთხმად არჩეულ იქმნენ: **დ. შენგელაია, ს. კლდიაშვილი, ირ. აბაშიძე, ი. ლისაშვილი, დ. ბენაშვილი.**

ყრილობის საპატიო პრეზიდიუმი

ორდენოსან პოეტს გ. ლეონიძეს შემოაქვს წინადადება არჩეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობის საპატიო პრეზიდიუმი.

მთელი ყრილობა ფეხზე ადგომით, ხანგრძლივი მქუხარე ტაშის ცემით ხვდება ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** დასახელებას საპატიო პრეზიდიუმში. ოვაციები დიდხანს გრძელდება, გაისმის შეძახილები: გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორს, სოციალისტური კულტურის დიდ შთამგონებელს საყვარელ **სტალინს.** ხანგრძლივი ოვაციებით საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ: **ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, მ. ი. კალინინი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ანდრეევი, ა. ა. ჟდანოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ლ. პ. ბერია, ნ. მ. შვერნიკი, ხოზე დიასი, ერნსტ ტელმანი** და **კანდიდ ჩარკვიანი.**

აღფრთოვანებით შეხვდა ყრილობა საბჭოთა სახელოვანი დაზვერვის ხელმძღვანელის სტალინელი სახალხო კომისრის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** დასახელებას საპატიო პრეზიდიუმის შემადგენლობაში. გაისმის შეძახილები: გაუმარჯოს საბჭოთა დაზვერვის სახელოვან მეთაურს, ქართველი ხალხის საამაყო შვილს **ლავრენტი ბერიას!**

ყრილობის დღისწესრიგი

ყრილობა ერთხმად ამტკიცებს შემდეგ დღის წესრიგს:

1) საანგარიშო მოხსენება საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობის შესახებ (მომხს. ამხ. **ალიო მაშაშვილი**).
2) სტალინის სახე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში (მომხს. ამხ. **შალვა დადიანი**).
3) ქართული საბჭოთა კრიტიკა (მომხს. ამხ. **სიმონ ჩიქოვანი**)
4) საანგარიშო მოხსენება საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის ლიტფონდის მუშაობის შესახებ (მომხს. ამხ. **ილო მოსაშვილი**).
5) საქ. საბჭოთა მწერლების სარევიზიო კომისიის მოხსენება (მომხს. ამხ. **დ. სულიაშვილი**).
6) საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის არჩევნები.
7) საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის ლიტფონდის გამგეობის არჩევნები.
8) საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ყრილობამ დაამტკიცა რეგლამენტი.

შემოდის წინადადება მისალმების დეპეშები გაეგზავნოს ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს**, გამობრძმედილ სტალინელს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** და საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ. მდივანს ამხანაგ **კ. ჩარკვიანს.**

მთელი ყრილობა მქუხარე, დიდხანს შეუწყვეტელი ტაშის ცემით და ფეხზე ადგომით ღებულობს მისალმებათა ტექსტს.

ყრილობა ტაშის ცემით მიესალმა პრეზიდიუმში არჩეულ მოძმე რესპუბლიკების მწერლებს. გაისმის შეძახილები: გაუმარჯოს დიდი რუსი ხალხის დიად ლიტერატურას, გაუმარჯოს მოძმე რესპუბლიკების საბჭოთა მწერლობას!

ყრილობა აღფრთოვანებით შეხვდა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს პროფ. ა. შანიძეს, რომელიც მიესალმა რა ყრილობას თბილისის **სტალინის** სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, უსურვა მას ნაყოფიერი მუშაობა.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. ალიო მაშაშვილს, რომელმაც გააკეთა მოხსენება მწერალთა კავშირის მუშაობის შესახებ.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. შალვა დადიანის მოხსენება „სტალინის სახე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში“.

მისალმებანი საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობისადმი

უკრაინიდან

კიევი. 25 სექტემბერი. ვუსურვებთ მზიურ საქართველოს ნაყოფიერ მუშაობას და მოძმე დიდი ქართველი ხალხის სოციალისტურ მხატვრულ ლიტერატურას კიდევ უფრო მეტ აყვავებას.

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

უკრაინის სსრ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა.

ყირგიზეთიდან

ფრუნზე. 25 სექტემბერი. ყირგიზეთის სახალხო აკინები და მწერლები მხურვალე სალამს უთვლიან თავის მეორე ყრილობაზე შეკრებილ მოძმე საქართველოს მწერლებს გენიალური რუსთაველის შთამომავლებს, ახალი ქვეყნის მშენებლებს.

ამ დაძაბულ საერთაშორისო ვითარებაში მთელი ჩვენი არსებით და შემოქმედებითი მუშაობით თქვენთან ვართ, ჩვენც ისევე, როგორც თქვენ მზად ვართ ყოველ წუთში მახვილზე შევცვალოთ კალამი ჩვენი მშვენიერი სამშობლოს და დიდი **სტალინის** სადიდებლად.

ყირგიზეთის სსრ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა.

მწერალთა კავშირთან არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მიიღო ამხ. დ. შენგელაია, რ. გვეტაძე და ს. ჩიქოვანი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირთან არსებულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ რამდენიმე ხნის წინათ განიხილა ორდენოსანი მწერლის ამხ. **დემნა შენგელაიას** განცხადება მისი საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღების შესახებ.

მწერალთა კავშირთან არსებულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ერთხმად დაადგინა ამხ. დ. შენგელაია მიღებულ იქნას საქ. კ. პ. (ბ) რიგებში კანდიდატად.

* * *

23 სექტემბერს შესდგა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირთან არსებული პირველადი პარტორგანიზაციის კრება, რომელზედაც განხილულ იქნა ამხ. **რაჟდენ გვეტაძის** და ორდენოსანი პოეტის ამხ. **სიმონ ჩიქოვანის** განცხადებები მათი საქ. კ. პ. (ბ) რიგებში მიღების შესახებ.

მწერალთა კავშირთან არსებულმა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ერთხმად დაადგინა ამხ. რ. გვეტაძე და ამხ. ს. ჩიქოვანი მიღებულ იქნან საქ. კ. პ. (ბ) რიგებში კანდიდატებად.

გამარჯვებული სოციალიზმის მწერლობა

ამხ. ალიო მაშაშვილის საანგარიშო მოხსენება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობის შესახებ, წაკითხული სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობაზე 1939 წ. 25 სექტემბერს

ამხანაგებო!

ჩემი საანგარიშო მოხსენება შეეხება ქართული საბჭოთა მწერლობის მუშაობას საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებიდან დღემდე, საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობიდან დღევანდელ მეორე ყრილობამდე.

ეს შვიდი წელი ჩვენი მწერლობისა უთუოდ უხვი შემოქმედებითი მოსავლით ხასიათდება. ამ შვიდ წელში მოხდა მთელი რიგი ეკონომიურ-კულტურული ცვლილებები აღმავლობის ხაზით ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში, მათ შორის მწერლობაშიც.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის 23 აპრილის დადგენილებას მოჰყვა თვალსაჩინო აღორძინება საბჭოთა ლიტერატურისა. ცენტრალური კომიტეტის ეს დადგენილება ყველამ ერთნაირად როდი გაიგო. ზოგმა რაპპის ლიკვიდაცია მთლიანად პროლეტარულ მწერლობის ლიკვიდაციად გამოაცხადა. პროლეტარულ-რევოლუციურ მწერლობისადმი მტრულად განწყობილმა ელემენტებმა სცადეს იერიში მიეტანათ პროლეტარული მწერლობის ჯანსაღი ნაწილის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში მათ ხელს უწყობდნენ მწერალთა ორგანიზაციის ზოგიერთი ხელმძღვანელებიც. მათ ეს დადგენილება გაიგეს, როგორც უკანდახევა მწერლობაში და თავის შემოქმედებაში გაიბატონეს სანტიმენტალური და უიდეო ლირიკა. ეს დადგენილება მათ ამნისტიად გამოაცხადეს. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მწერლობა არასოდეს არ ყოფილა ისეთ მდგომარეობაში, რომ მას ამნისტია დასჭირებოდა. 23 აპრილის დადგენილება, პირიქით, მსჯავრი იყო იმ მწერლებისათვის, ვისაც იოლად გაჰქონდა თავი ლიტერატურაში. 23 აპრილის დადგენილებამ საერთოდ ცუდად წერის უფლება წაართვა მწერლებს. საბჭოთა ქვეყნის ზრდა მოითხოვდა შესაფერის მაღალმხატვრულ ლიტერატურას.

არ შეიძლება ითქვას, თითქოს ამხნიდან დაწყებული, ვიდრე დღემდე, ჩვენი მწერლობა უმტკივნეულოდ ვითარდებოდა, პარტიის გენერალური ხაზი თითქოს მწერლობაში არ მახინჯდებოდა. ქართული საბჭოთა მწერლობის ძირითად ბირთვს შეურიგებელი ბრძოლის წარმოება მოუხდა სოციალიზმის იდეების სიწმინდის დაცვისათვის ჩვენს მწერლობაში. ჩვენ მოგვიხდა რეალიზმის პრინციპის დაცვისთვის ბრძოლა ყოველგვარი უცხო იდეების წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ კარგა ხანს ვრცელდებოდა ცისფერყანწელების სენი ქართულ ლიტერატურაში. ჩვენი მწერლობის ჯანსაღი ნაწილი იზრდებოდა და მტკიცდებოდა ცისფერყანწელების წვრილბურჟუაზიულ, ბოჰემურ, დეკადენტურ განწყობილებათა წინააღმდეგ ბრძოლაში; დაბოლოს, ნაწილი ცისფერყანწელებისა კლასობრივი მტრის ბანაკში აღმოჩნდა. ერთი ნაწილი, — ჯანსაღი ნაწილი ცისფერყანწელებისა კი თავიდანვე ჩამოცილდა მათ და რევოლუციურ საბჭოთა მწერლობის ნაკადს შეუერთდა.

საბჭოთა მწერლობას აგრეთვე მოუხდა ბრძოლა ფორმალისტური ტრადიციების წინააღმდეგაც. ფორმალისტები ჯგუფური თვალსაზრისით ცისფერყანწელების სენს ავრცელებდნენ ჩვენს მწერლობაში, მაგრამ ჯანსაღი ნაწილი ამ ჯგუფიდანაც სავსებით ჩამოშორდა მას და მტკიცედ დადგა სოციალისტურ მწერლობის რიგებში.

ჩვენი მწერლობა და მისი ორგანიზაცია გზადაგზა იწმინდებოდა იმ მტრულ ელემენტებისგან და მავნებლებისგან, რომლებიც, ნიღაბაფარებით მოკალათებული იყვნენ რა ჩვენს ორგანიზაციაში, ხრწნიდნენ და ატალახებდნენ მას. გაქრნენ და განადგურდნენ კონტრრევოლუციური ტროცკიზმის აგენტები ჩვენს მწერლობაში ტოროშელიძეების, დიმიტრაძეების, ბუაჩიძეების, ქიქოძეების და სხვ. სახით. მათ ცოტა ზიანი როდი მოუტანეს ქართულ მწერლობას! ისინი ცდილობდნენ მწერალთა რიგებში დეზორგანიზაციისა და რღვევის შეტანას. ამ მხრივ მათ მყარი ნიადაგი მონახეს ე. წ. ცისფერყანწელების [illegible] გარკვეულ ნაწილში. ისინი ხელიხელჩაკიდებულნი იბრძოდნენ სოციალისტური მწერლობის განვითარების შეფერხებისთვის. მათ დიდად შეანელეს აგრეთვე ზოგიერთი მერყევი მწერლების დაახლოვების ცდა ჩვენს პარტიასა და ხელისუფლებასთან. ცნობილია, თუ რა პოლიტიკას იწეოდნენ ტოროშელიძე, ქიქოძე, ბუაჩიძე, დემეტრაძე და სხვები მწერლობის მიმართ. ყოვლად აუტანელი უვიცობა, ცინიზმი და ბიუროკრატული დამოკიდებულება, როგორც თანამედროვე მწერლობის, ისე ქართულ მწერლობის მემკვიდრეობისადმი — აი ხალხის მტრების საქმიანობა ლიტერატურაში. ისინი ყოველგვარად ცდილობდნენ ევნოთ მწერლობისთვის, გამოეყენებიათ ის თავიანთი მტრული, ანტიპარტიული, გაიძვერული ზრახვების განხორციელებისთვის. ამიტომ იყო, რომ მწერლობის ძირითადი ბირთვი გაეთიშა ამ ხალხს. ეს ე. წ. „ხელმძღვანელები“ ნაკლებად იყვნენ მწერლობის ვითარების კურსში. ისინი შემთხვევით მოვიდნენ მწერლობაში და სრულიად არაშემთხვევით წავიდნენ აქედან.

დღეს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი მწერალთა მთლიან, მონოლიტურ ორგანიზაციას წარმოადგენს. მწერალთა კავშირის მთელი აქტივი მტკიცედ დარაზმულია **ლენინ-სტალინის** პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ირგვლივ. ყოველი საბჭოთა მწერალი დღეს სოციალისტური მშენებლობის აქტიური მონაწილეა.

ჩვენი ყრილობა იკრიბება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პირობებში. საქართველოს საბჭოთა მწერლების პირველი ყრილობიდან ამ ყრილობამდე ჩვენმა ქვეყანამ განიცადა გრანდიოზული ხასიათის ცვლილებანი და ვითარებანი.

ჩვენს ქვეყანაში სოციალისტურმა ინდუსტრიამ უდიდეს განვითარებას მიაღწია. მტკიცედ და სამუდამოდ გაიმარჯვა საკოლმეურნეო მოძრაობამ. ქვეყნის ეკონომიურმა და პოლიტიკურმა ზრდამ შეურყეველ ძალად აქცია ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერება. ყველაფერი ამის მზიური დაგვირგვინებაა სტალინური კონსტიტუცია.

ყრილობა იკრიბება იმ დროს, როდესაც ჩვენი სამშობლო გიგანტური გამარჯვებებით მიიწევს წინ მესამე სტალინური ხუთწლედის განხორციელებისთვის, კომუნიზმის დაგვირგვინებისთვის, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ჩვენი ბრძენი ბელადის ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს უმაგალითო განვითარების შედეგად გაიზარდა და აღორძინდა ქართული საბჭოთა მწერლობა. იგი დღეს საკავშირო საბჭოთა მწერლობის მოწინავე რიგში დგას. ჩვენი მწერლობა უკვე სახალხო მწერლობად იქცა. იგი ხალხის გრძნობებისა და მისწრაფებების ამსახველი მწერლობაა. ხალხს იგი უყვარს. ეს სიყვარული მან გამომჟღავნა იმ საამაყო ჯილდოებში, რომლითაც დაასაჩუქრა თავისი მწერლები. 13 ქართველი მწერლის დაჯილდოება საკავშირო მთავრობის ორდენებით ნათლად გვიჩვენებს იმ სიყვარულსა და მზრუნველ პატივისცემას, რომლითაც ეპყრობა ხალხი, პარტია და ხელისუფლება თავის მშობლიურ შვილებს, საბჭოთა კალმის ოსტატებს. მწერლებს ამ უსაზღვრო სიხარულმა კიდევ მეტი იმპულსი შეუქმნა შემოქმედებითი მუშაობისთვის.

ჩვენი მწერლობის უკანასკნელი პერიოდი დიდი ლიტერატურული მიღწევებით ხასიათდება. ეს ბუნებრივია. ჩვენი ქვეყნის უმაგალითო აყვავებამ ეკონომიკისა და პოლიტიკური ცხოვრების დარგში შექმნა მტკიცე პირობა საბჭოთა მწერლობის აყვავებისა და აღორძინებისთვის.

დიდს წარმატებებს ითვლის ჩვენი მწერლობის თითქმის ყველა ჟანრი: პოეზია, პროზა, დრამატურგია, ეპოსი და სხვ. საბჭოთა ცხოვრების სინამდვილე მწერალში აფართოებს რეალისტური ხედვის ჰორიზონტს. საზოგადოებრივი შეგნების საფუძველზე საბჭოთა სინამდვილის ინდივიდუალურმა შეგრძნობამ მწერალი ჭეშმარიტ რეალიზმამდე მიიყვანა. ამით ის, თავისი შემოქმედებით, ამ სინამდვილის ნამდვილ ამსახველ, უკეთესობისკენ გარდამქმნელ საშუალებად იქცა. სწორედ აქედან იწყება საბჭოთა მწერლობის საზოგადოებრივი წონა და ფასი ჩვენს ცხოვრებაში. რეალისტურად შექმნილი ნაწარმოები ცხოვრების სარკე და ანარეკლია. ის ცხოვრების თითქმის ყველა თვისებას ატარებს. ჩვენს ლიტერატურაში ნათლად გამოიხატა ბრძოლა და ცხოვრება ჩვენი ხალხისა, როგორც წარსულში, ისე აწმყოში, ამ ხალხის უწმინდესი სიყვარული თავის სამშობლოსადმი, შეურიგებელი ზიზღი და სიძულვილი ხალხის მტრებისადმი. ჩვენს ლიტერატურაში გამოიხატა ხალხის მომავლის ნათელი რწმენა.

1932 წლიდან დღემდე რადიკალური ცვლილება მოხდა სოფლის მეურნეობის დარგში, საბოლოოდ განმტკიცდა კოლექტიური მეურნეობის სისტემა სოფლად. ეს მოხდა სტალინური ცენტრალური კომიტეტის სწორი სამეურნეო პოლიტიკის შედეგად. რასაკვირველია, ეს გამარჯვება მიღწეულ იქნა მთელი რიგი ბრძოლებისა და წინააღმდეგობების დაძლევის გზით. 1932 წელს და შემდეგ წლებში ჯერ კიდევ აქტიური იყო კაპიტალისტური მეურნეობის ნაშთების წინააღმდეგობა მზარდი სოციალისტური მეურნეობის სისტემის წინააღმდეგ. სოფლად ადგილი ჰქონდა შეურიგებელ კლასთა ბრძოლას კულაკობის ნაშთებსა და კოლმეურნე გლეხობის შორის.

კლასთა ბრძოლა სოფლად, სოციალისტური მეურნეობის შეტევითი წინსვლა და ამ ნიადაგზე ახალი საკოლმეურნეო გლეხობისა და ახალი ადამიანის ფორმირება საფუძვლად დაედვა იმ წლების ქართულ ლიტერატურას. უნდა ითქვას, რომ ჩვენი ლიტერატურა ფეხდაფეხ მიჰყვებოდა სოციალისტური მეურნეობის ამ პროცესებს. იგი ცდილობდა მხატვრულ ფერებში აესახა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკასა და ადამიანთა შეგნებაში მომხდარი ძვრები.

საქართველოში საკოლმეურნეო მოძრაობის დასაწყისის პერიოდს მხატვრულად გვიჩვენებს კონსტანტინე ლორთქიფანიძე თავის რომანში „იმერეთი“. ამ ნაწარმოებში ავტორმა სოფლის ახალ სამეურნეო ურთიერთობათა და ადამიანთა ფსიქოლოგიის მხატვრულ გადმოცემაში

უსათუოდ რეალისტური ალღო გამოიჩინა. ავტორმა მოგვცა რთულ კლასობრივ ვითარებაში მოქცეული პროცესები და ამ პროცესებში მზარდი ახალი ადამიანი. რომანის მთავარი გმირის—მექის სახით მწერალმა დაგვიხატა იმის საუკეთესო სურათი, თუ როგორ აყენებს ფეხზე წარსულ ცხოვრებისაგან დაბეჩავებულ ადამიანს სოფლად ახალი ადამიანი და ახალი ურთიერთობა. სწორედ მექისთანა ადამიანებს მოუხდათ თავისთავზე კლასობრივ ბრძოლათა სიმძიმის გადატანა სოფლად. მიუხედავად ზოგიერთი, სქემატიურად დახატული სურათებისა, რომანი მთლიანად საკოლმეურნეო ცხოვრების მშობიარობის პერიოდის მხატვრულ პანორამას წარმოადგენს.

ახალი საბჭოთა სოფლის ფონზეა გაშლილი აგრეთვე კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „მთვარის მოტაცება“. უნდა ითქვას, რომ კონსტ. გამსახურდია ამ რომანით დაუახლოვდა საბჭოთა სინამდვილეს. მიუხედავად ამისა „მთვარის მოტაცება“ არ შეიძლება ჩავთვალოთ ახალი სოციალისტური სოფლის ამსახველ დოკუმენტად. აქ სუსტადაა ნაჩვენები ახალი სოფლის სურათები და ადამიანები. ავტორი გადაჰყვა ნიადაგგამოცლილ ხალხის ცხოვრების ასახვის გზას. რომანში მოცემულია აფხაზეთ-ოდიშის ფეოდალური წოდების დეგენირებული მოჰიკანები: შერვაშიძეები, ემხვარები, აფაქიძეები და სხვა, რომელთაც ამ რომანის დაწერისას, ნაკლები საზოგადოებრივი წონა ჰქონდათ სოფლის ცხოვრებაში. არზაყან ზვამბაია კი, რომელიც ცენტრალური ფიგურა უნდა ყოფილიყო ამ რომანში, როგორც წარმომადგენელი ახალი სოფლის ცხოვრებისა, ავტორმა მკრთალად დაგვიხატა. ავტორი სულ არ შეხებია იმ სოციალურ ფონს, რომელზედაც წარმოიშვა არზაყან ზვამბაია. ერთი სიტყვით, რომანი ვერ ასახავს მაშინდელი სოფლის ცხოვრებას. მიუხედავად ამისა, რომანი „მთვარის მოტაცება“ საგრძნობი ნაბიჯი იყო წინ „დიონისეს ღიმილის“ ავტორისთვის: ძველი სამეგრელოს სოფლის პეიზაჟების, ზნე-ჩვეულებების და ტიპების დახატვაში კონსტანტინე გამსახურდიამ უსათუოდ ნიჭიერი რეალისტის ალღო გამოიჩინა.

საკოლმეურნეო მასალაზე დაიწერა აგრეთვე ელიზბარ პოლუმორდვინოვის რომანი „იღვიძებენ მთები“. რომანი შეეხება აჭარის ცხოვრებას, საკოლმეურნეო მოძრაობას სუბტროპიკულ კულტურათა ფონზე. ამ რომანში პოლუმორდვინოვი ცდილობს საკოლმეურნეო ცხოვრების უფრო მაღალი ეტაპის — კოლმეურნეობის ორგანიზაციული პერიოდიდან მისი ეკონომიურად გაძლიერების პერიოდზე გადასვლის მხატვრულ ასახვას. კოლმეურნეობის გაძლიერება სასტიკ წინააღმდეგობას იწვევს კაპიტალისტური მეურნეობის ნაშთების მხრივ. ეს მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა აჭარა, სადაც წარსულის სხვა ნაშთებთან ერთად ადგილი ჰქონდა რელიგიური ფანატიზმის ნაშთებს. მართალია, ავტორი სოციალურ გარემოებასა და მასში მომქმედ ადამიანთა კონფლიქტის და ურთიერთობის დახატვაში ხშირად ვერ იჩენს რეალისტური ხედვის ალღოს, ღრმად ვერ წვდება ახალი საკოლმეურნეო ცხოვრების სიღრმეში, ადამიანთა ფსიქოლოგიასა და თვისებებს. მაგრამ აღნიშნული ნაწარმოები მაინც დარჩა, როგორც საკოლმეურნეო მოძრაობის მხატვრული ფაქტი. აქაც გამოხატულია მოჯამაგირეობიდან გამოსული ლატაკი გლეხის კოლმეურნეობაში შესვლა და მის მიერ ახალი ცხოვრების დაწყება.

საკოლმეურნეო მოძრაობის შემდგომ ეტაპს ეხება აგრეთვე ალექსანდრე ქეიშვილის რომანი „ლელო“. ეს რომანი თითქოს მხატვრული გამოძახილია სტალინური ლოზუნგისა: „გადავაქციოთ ყველა კოლმეურნე შეძლებულად“. სუჟეტური განვითარების სისუსტისა და ალაგალაგ ნატურალიზმამდე დაყვანილი სცენების მიუხედავად, ეს რომანი თვალსაჩინო მოვლენაა ჩვენს მწერლობაში. ავტორი ცდილობს, მთავარ ხაზებში მაინც, გადმოგვცეს საკოლმეურნეო მოძრაობის აყვავების სურათი. დამაჯერებლად და ხორცშესხმულად დახატულია კოლმეურნეთა ზოგიერთი ტიპები. რომანს, როგორც მოგახსენებთ, ალაგალაგ აკლია რეალისტური ფერები, დატვირთულია სუჟეტთან არაორგანიულად მიკერებული სურათებით, რომლებიც ესოდენ აბუნდოვანებენ რომანის მთავარ ხაზს — იდეას.

ლეო ქიაჩელის რომანი „გვადი ბიგვა“ ეხება საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარების ახლანდელ პერიოდს. რომანში დასმულია კოლმეურნეობის შიგნით წვრილი, მესაკუთრული ინსტიქტის აღმოფხვრის პრობლემა. მწერალმა ყოველმხრივ დაგვიხატა ჩვენი ცხოვრების სინამდვილე. მან ამისთვის არ დაიშურა კალმის სიმკვეთრე და გრძნობის ფერები. აღნიშნულ რომანში მწერალმა დააყენა კოლმეურნეობის ნიადაგზე ახალი ადამიანის აღზრდის იდეა და ეს ამოცანა წარმატებით გადასჭრა. რომანის მთავარი ტიპი გვადი გადაგვარებულ, დაბეჩავებულ და დაგლახაკებულ ელემენტიდან თანდათან, დროთა ვითარებისა და კოლექტიურ მეურნეობის აღმავლობის ნიადაგზე, გადაიქცევა სოციალისტური მეურნეობის სამაგალითო ადამიანად. საქმე იმაშია, რომ რომანისტმა ამ ტიპის დადებითობისაკენ გარდაქმნა ფსიქოლოგიურად დამაჯერებელ სახეებში მოგვცა.

საკოლმეურნეო თემაზეა დაწერილი აგრეთვე მთელი რიგი საინტერესო ნაწარმოებისა: „უჩარდიონი“ — კარლო კალაძისა, „შლეგი“ — სიმონ მთვარაძისა, „ფოლადაური“ — სანდრო შანშიაშვილისა, „შური“ — იონა ვაკელისა, „კოლმეურნეს ქორწინება“ — პოლიკარპე კაკაბაძისა და სხვ. კოლმეურნეობის თემაზე დაიწერა აგრეთვე პანტელეიმონ ჩხიკვაძის რომანი „ახალი ხმელეთი“. რომანი ბეჭდვის პროცესშია და მას დეტალურად არ შევეხებით.

საკოლმეურნეო ცხოვრების თემაზეა დაწერილი იაკინთე ლისაშვილის „ძახილი მთაში“ და სოლომონ თავაძის „ჯილდო“.

საკოლმეურნეო ცხოვრების ზრდამ ჩვენს ქვეყანაში მხატვრული გამოხატულება ჰპოვა ლირიული პოეზიის დარგში. მრავალფეროვანი ბუნების ფონზე გაშლილია განახლებული სოფლის ცხოვრება და სინამდვილე სიმონ ჩიქოვანის ლექსებში „უშგულის კომკავშირი“, „შემოღამება ხახმატში“, „სამეგრელოში შთაგონებული საღამოები“. ასევე ითქმის გ. კაჭახიძის, ი. მოსაშვილის, გ. ტაბიძის, ა. აბაშელის, ა. გომიაშვილის, ირ. აბაშიძის და სხვ. ლექსებზე.

საქართველო, საბჭოთა დიად კავშირში შემავალ სხვა ქვეყანათა შორის, მოწინავე ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეყნად იქცა. საქართველოს მუშათა კლასი წამყვანი რაზმია სოციალისტური მეურნეობის ფრონტზე. ჩვენს წარმოებებში თავი ისახელეს სოციალისტური შრომის გმირმა სტახანოველებმა. მათი საქმე და მოქმედება მისაბაძია ყველა დარგის მუშაკებისათვის. ჩვენი ლიტერატურის მთავარ თემას შრომა და მისი გმირები უნდა წარმოადგენდეს. საჭიროა ქართულმა საბჭოთა მწერლობამ უფრო გაამახვილოს თავისი ყურადღება საწარმოო თემაზე, მუშათა კლასის მოწინავე გმირ ენთუზიასტებზე, რომლებმაც შრომა გმირობისა და დიდების საქმედ აქციეს. საჭიროა ჩვენი მწერლობა უფრო დაუახლოვდეს ქალაქს, უფრო გაეცნოს მის წარმოებას და თავისი ნაწარმოების მთავარ თემად დაისახოს მუშათა კლასის ბრძოლა და შრომა ახალი ცხოვრების შექმნისათვის. საჭიროა ნაწარმოები, სადაც მოცემული იქნება დღევანდელი ქალაქი თავისი წარმოებებით და ადამიანებით სოციალისტურ სოფელთან მტკიცე კავშირში. მართალია, ქალაქის წარმოების თემაზე დაიწერა მთელი რიგი ნაწარმოებებისა, როგორიცაა პანტელეიმონ ჩხიკვაძის „სართულები“, ბ. ჩხეიძის „ფერო“, ი. ლისაშვილის „ვარდნილი“, მაგრამ ეს ნაწარმოებები თავისი მხატვრული სისუსტის გამო ხარვეზს ვერ ავსებენ.

ქართული საბჭოთა მწერლების ერთერთ მთავარ თემად იქცა აგრეთვე სამოქალაქო ომის ისტორია საქართველოში. სამოქალაქო ომის ცალკეულ ეპიზოდებს ხატავს პოეტი გალაკტიონ ტაბიძე თავის პოემაში „ეპოქა“. პოეტმა გ. ქუჩიშვილმა, ა. გომიაშვილმა და სხვებმა მგზნებარე ლექსები დასწერეს ამ თემაზე.

მშრომელი მოსახლეობის მღელვარე ბრძოლას შავბნელ რეაქციის წინააღმდეგ გამოხატავს რ. გვეტაძის მოთხრობები „ქიაკოკონა“, „თეო“ და სხვ. გლეხი ქალის თავგანწირული ბრძოლა ხალხთა თავისუფლებისათვის, მძაფრ მხატვრულ ფერებში მოცემული აქვს რაჟდენ გვეტაძეს პოემაში „მერკვილაძის დები“. ქართველი მენშევიკების უდღეური ბატონობა საქართველოში და ქართველი ხალხის ბრძოლა მათ წინააღმდეგ ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით მოცემული აქვს ა. ქუთათელს რომანში „პირისპირ“. მენშევიკები ქართველი ხალხის ყველაზე უფრო საზიზღარი მტრები იყვნენ. მათმა უდღეურმა ბატონობამ და თარეშმა დიდი ეკონომიური და მორალური ზიანი მიაყენა ქართველ ხალხს. მენშევიკებმა, ამ საერთაშორისო კონტრრევოლუციის ნაძირალებმა, მშრომელთა სისხლით შეღებეს საქართველოს მიწაწყალი. აი რას სწერს ამხანაგი **ლავრენტი ბერია** მათ შესახებ: „ქართველი მენშევიკები, ქართველი ხალხის ყველაზე საზიზღარი მოღალატეები და გამცემლები არიან. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მათ მოსწყვიტეს საქართველო რევოლუციურ რუსეთს, ისინი დაუკავშირდნენ ჯერ გერმანიას, ხოლო შემდეგ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალიზმს და, დაშნაკებთან და მუსავატელებთან ერთად, გადააქციეს ამიერ-კავკასია საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ უცხოეთის ინტერვენციისა და ბურჟუაზიულ-თეთრგვარდიული კონტრრევოლუციის პლაცდარმად (მენშევიკების კავშირი დენიკინთან, ალექსეევთან და სხვა თეთრგვარდიელ გენერლებთან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად)“.

ა. ქუთათელის რომანის ორ სქელტანიან წიგნში დამაჯერებელი ტონით მოთხრობილია მაშინდელი საქართველოს მდგომარეობა მენშევიკების ხელში. სიდუხჭირე და სიღატაკე, ხალხის გმირული ბრძოლა მენშევიკური წყობილების წინააღმდეგ კლასობრივი ბრძოლის, ადამიანთა ურთიერთობის სრულყოფილი სურათები ავტორს დახატული აქვს რეალისტური ზომიერებით.

სამოქალაქო ომის თემაზე დაწერილ ნაწარმოებიდან აღსანიშნავია ლეო ქიაჩელის მოთხრობა „ჰაკი აძბა“. რევოლუციური მეზღვაურების თავგანწირული ბრძოლა თავისუფლებისათვის სამოქალაქო ომის წლებში შესანიშნავი რეალისტური სახეებით მოცემული აქვს ავტორს ამ მოთხრობაში.

იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის თემაზეა დაწერილი აგრეთვე სერგო კლდიაშვილის რომანი „ფერფლი“.

ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** შრომა „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ იდეურ-თემატიურ საფუძვლად დაედო სამოქალაქო ომის თემაზე დაწერილ ბევრ ნაწარმოებს. ამ შრომაში ისტორიული სიმართლის დაცვით მოთხრობილია საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხთა მასების ბრძოლა შავბნელი რეაქციის წინააღმდეგ.

ეს შრომა ნათელ შუქს ფენს მუშათა კლასის პოლიტიკური ორგანიზაციების ჩასახვასა და მათს ბრძოლას ძველი წყობილების წინააღმდეგ, ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელ როლს ამ ბრძოლაში. ამ შრომამ ერთხელ და სამუდამოდ მოუღო ბოლო ზოგიერთ კრიტიკოს - ვულგარიზატორთა ყალბ მოსაზრებებს, რომლებიც ამახინჯებდნენ ისტორიულ სიმართლეს, განგებ სჩქმალავდნენ ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელ როლს ა.-კავკასიის მუშათა კლასის მოძრაობაში. ამხანაგ **ბერიას** ეს დიადი შრომა საფუძვლად დაედო საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის იმ თავს, რომელიც ეხება მუშათა კლასის მოძრაობას საქართველოში და ამიერ-კავკასიაში ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით.

„საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“ სრულიად ახალ დონეზე აჰყავს მუშათა კლასის მოძრაობის ისტორიული გაგება, სრულიად ახალ საფეხურზე აჰყავს ჩვენი ცხოვრების თეორიული

(გაგრძელება მე-2 გვ.)

გამარჯვებული სოციალიზმის მწერლობა

ამხ. ალიო მაშაშვილის საანგარიშო მოხსენება საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობის შესახებ. წაკითხული სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობაზე 1939 წ. 25 სექტემბერს

დონე, იგი აიარაღებს ყოველ კომუნისტს და უპარტიოს, ყოველ საბჭოთა მოქალაქეს რევოლუციური ბრძოლის მდიდარი გამოცდილებით. ამ შრომაში მოთხრობილი ხალხთა თავდადებული ბრძოლა ძველი ცხოვრების უკუღმართობის წინააღმდეგ, მაგალითის მიმცემია მომავალ თაობებისათვისაც. ამ შრომას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული მწერლობისათვის. ის ამდიდრებს მწერალს განვლილი ცხოვრების ღრმა ცოდნით. დიდს და უხვ მასალას აძლევს მას მხატვრული ტილოების შესაქმნელად, ის აიარაღებს მწერალს ჭეშმარიტი რეალიზმით.

შალვა დადიანის პიესა „ნაპერწკლიდან" სწორედ ის მხატვრული ქრონიკაა, რომელიც მოგვითხრობს ქართველი მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ბრძოლას ძველი ცხოვრების უკუღმართობის დაძლევისა და განადგურებისათვის. პიესაში მთავარ გმირად გამოყვანილია ახალგაზრდა **სტალინი**, რომელიც იბრძვის ცხრაასიანი წლების დამდეგს ლენინურ-ისკრული იდეების დასამკვიდრებლად ამიერ-კავკასიაში. შალვა დადიანის ოსტატურმა ხელმა ეს თემა სათანადო მხატვრული საღებავებით დახატა.

ბოლშევიკური პარტიის ბრძოლის გმირული ისტორიის ერთერთ მხარეს ეხება ახალგაზრდა პოეტის გრიგოლ აბაშიძის პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული". ეს პოემა რეალისტური სტილის დაცვით, ფაბულის კანონზომიერი განვითარებით გვამცნობს ქართველი მუშათა კლასისა და გლეხობის მოძრაობის ერთერთ ეპიზოდს. ეს არის ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მომხდარი დისკუსია ჭიათურაში და ამ დისკუსიაში მენშევიკების დამარცხება **სტალინის** მიერ. მენშევიკური ტიპის გროტესკულად დახატვაში პოეტი უტყუარ ნიჭს იჩენს. ახალგაზრდა **სტალინის** მტკიცე და შეუდრეკელი სახე, მისი გენიალური გამჭრიახობა და ორატორული სიმახვილე, რომელიც აუცდენლად აღწევს მიზანს, დამაჯერებელ ფერებში აქვს გადმოცემული ახალგაზრდა პოეტს.

სამოქალაქო ომის ფონზეა გაშლილი აგრეთვე ქ. ბობოხიძის „ორჯონიკიძე", ვ. დარასელის პოემა „კიკვიძე" და სხვ. ქ. ბობოხიძის პოემა ასახავს ჩრდილო-კავკასიაში მუშებისა და გლეხების ბრძოლას ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ კონტრრევოლუციის წინააღმდეგ, კერძოდ, სერგო ორჯონიკიძის ხელმძღვანელ როლს ამ ბრძოლაში. მაგრამ ამ პოემით ავტორი ბოლომდე ვერ აღწევს ამ დანიშნულებას, პოემას აკლია სუჟეტური განვითარება. მთელი რიგი ბატალური სცენებისა ვერ არის მხატვრული სიძლიერით გადმოცემული. პოემაში ამხანაგ სერგო ორჯონიკიძის ფიგურაც სრულყოფილად ვერაა დახატული.

ქართული მწერლობისათვის ერთერთ დამახასიათებელ თემად იქცა აგრეთვე ჩვენი ქვეყნის უშორესი წარსული. ქართველი ხალხი ძველთაგანვე განთქმულია გმირული ბრძოლებით სხვადასხვა ჯურის დამპყრობელთა წინააღმდეგ. საქართველომ გადაიტანა შეუდრეკელი ბრძოლა რომის იმპერატორების, არაბების, თურქთა ურდოებისა და სხვათა წინააღმდეგ. ამ უთანასწორო ბრძოლებმა მაინც ვერ გასტეხეს ქართველი ხალხი. დაუძინებელ მტრებთან ბრძოლაში ქართველმა ხალხმა გამოსჭედა თავისი საყვარელი გმირები, სამშობლოსათვის თავდადებული პატრიოტები: დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი სააკაძე, პატარა კახი და სხვები. ამ გმირთა ფიცისხანი და მისწრაფებანი, მათი თავგანწირული ბრძოლა სამშობლოს დასაცავად, უწმინდესი პატრიოტიზმი, მოქალაქური მოვალეობა და ადამიანობა — მშობლიურია სოციალიზმის მშენებელ ქართველ ხალხისთვის. ამ ღირსშესანიშნავი წარსულის გადატანა მხატვრულ ტილოზე საამაყო მიზნად დაისახეს საბჭოთა მწერლებმა. რასაკვირველია, მწერალს ისტორიული წარსულის გადმოცემაში უთუოდ სჭირდება ობიექტური მიდგომა, რომ წარსული მოცემული იქნეს ჭეშმარიტი სიმართლის დაცვით, ყოველგვარი შელამაზების გარეშე. უნდა ვიცოდეთ, რომ აწმყო ნაყოფია წარსულისა და სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში ნაყოფია ადრინდელი ისტორიული ვითარებისა, კანონზომიერი შედეგია წინამავალი კლასობრივი ბრძოლებისა.

საბჭოთა დიდი ხალხი ამაყობს თავისი გმირული წარსულით. აი რას სწერდა ამ თემაზე ამხანაგი **ლენინი** 1914 წელს: „ჩვენთვის ყველაზე მეტად მტკივნეულია იმის დანახვა და გრძნობა რა ძალადობას, ჩაგვრასა და დაცინვას განიცდის ჩვენი მშვენიერი სამშობლო მეფის ჯალათების, თავადაზნაურობისა და კაპიტალისტების მხრივ. ჩვენ ვამაყობთ, რომ ეს ძალადობა წინააღმდეგობას იწვევდა ჩვენს წრეში, ველიკოროსების წრეში, რომ ამ წრემ წარმოშვა რადიშჩევი, დეკაბრისტები, რევოლუციონერი რაზნოჩინცები 70-იან წლებში, რომ ველიკოროს მუშათა კლასმა 1905 წელს შექმნა მასების ძლიერი რევოლუციონური პარტია, რომ ველიკოროს მუჟიკმა იმავე დროს დაიწყო დემოკრატად გადაქცევა, დაიწყო ხუცისა და მემამულის ძირის ჩამოგდება" (ტომ. 18, გვ. 96).

გამარჯვებული ქართველი ხალხიც ღირსეული მემკვიდრეა ყოველგვარი პროგრესიული რევოლუციური წარსულისა. ქართველი ხალხიც ღირსეულად ამაყობს როგორც უშორესი, ისე უახლოესი ისტორიული რევოლუციური წარსულით, თავისი გმირებითა და ადამიანებით, რომლებიც თავიანთი თავდადებული ბრძოლით ძველი ცხოვრების უკუღმართობის წინააღმდეგ ხელს უწყობდნენ სოციალიზმის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში.

სწორედ ამ პრინციპზეა აგებული კონსტანტინე გამსახურდიას ისტორიული რომანი „დიდოსტატი კონსტანტინეს მარჯვენა". რომანის თემა თუმცა აღებულია ძალზე შორეული წარსულიდან, მეფე გიორგი პირველის ეპოქიდან, მაინც იგი თავისი რაინდული სულისკვეთებით უსათუოდ ეხმაურება თანამედროვე ეპოქას. რომანის მთავარი იდეა—მაშინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთმთლიანობისათვის ბრძოლა — დაქსაქსული ფეოდალური წყობილების წინააღმდეგ. ქართველი ხალხის საერთო მტრების—სარკინოზების ამირისა და ბიზანტიელი კეისრის ძალდატანების აღმოსაფხვრელად საქართველოში — პროგრესიული იდეა იყო მაშინ. სწორედ აქედან იწყება დამკვიდრება იმ ოქროს ხანისა, რომელმაც წარმოშვა დიდი შოთა რუსთაველი. ავტორი ჩვეული ოსტატობითა და დამაჯერებელი ფერებით გვიხატავს ამ ეპოქის ადამიანთა ზნე-ჩვეულებებს, რიტუალებს, მსოფლმხედველობას და საერთოდ მათ მისწრაფებებს, როგორიცაა: წმინდა პატრიოტიზმი, სამშობლოსთვის ბრძოლა და თავდადება, ვაჟკაცობა და სიყვარული, რომლებიც ესოდენ მშობლიურად ეთვისებიან საბჭოთა ადამიანების ხასიათსა და იდეალებს. ამ რომანში ავტორი იჩენს თემისადმი გულწრფელ მიდგომას და რეალისტური ხედვის უტყუარ პრინციპს. თითქმის რომანის ყოველი გმირი — მელქისედეკ კათოლიკოსი, მეფე გიორგი, კონსტანტინე არსაკიძე, ფარსმან სპარსი და სხვა ხორცშესხმულად და დამაჯერებლადაა დახატული. იგი ნამდვილი რაინდული რომანია. თვით რომანის სათაური დაკავშირებულია მეფე გიორგის სამეფო ხუროთმოძღვრისა და დიდოსტატის ლაზ კონსტანტინე არსაკიძის სახელთან, რომელმაც ააშენა მიწისძვრისაგან დაქცეული სვეტიცხოვლის ტაძარი „აბულკასიმის მიერ იავარქმნილი პირველად". იგი დაბოლოს მოცარტის მსგავსად, შურის მსხვერპლი ხდება თბილისელი ამირის ყოფილი ხუროთმოძღვრის, შემდეგში მეფე გიორგის ხუროთმოძღვართუხუცესის სამცხის ეკლესიის ოსტატის ფარსმან სპარსისა. განრისხებული მეფე გიორგი სვეტიცხოვლის ტაძრის თითქოსდა ცუდად აგებისათვის და მკრეხელური, წარმართული სურათის დახატვისათვის, კონსტანტინე არსაკიძეს მარჯვენა მკლავის მოკვეთას მიუსჯის.

ისტორიულ თემაზეა დაწერილი აგრეთვე სიმონ ქვარიანის რომანი „გიორგი სააკაძე", დემნა შენგელაიას მოთხრობები „შემოქმედი" (ბეჭენ ოპიზარზე, თამარ დედოფლის ეპოქიდან), „ბაშკადიკლარი", რომელიც გამოხატავს 1853 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომის ერთერთ ეპიზოდს, ქართველ გენერალ ილიკო ორბელიანის ბრძოლას და შემდეგ მის სიკვდილს ამ ომში. „ყაზავათი"—ეხება შამილის ეპოქის მთიელთა ბრძოლას თავისუფლებისთვის და „ბათა ქექია". იონა ვაკელის დრამა „შამილი" და „გიორგი სააკაძე", სანდრო შანშიაშვილის „არსენა", პანტელეიმონ ჩხიკვაძის „ნაბიჯები" და „მურზაყან დადეშქელიანი", შალვა დადიანის მოთხრობა „დღესა ერთსა" შოთა რუსთაველის ცხოვრებიდან და ანა ხახუტაშვილის „იოსებ ლაღიაშვილი".

ისტორიულ თემაზეა დაწერილი აგრეთვე ს. ჩიქოვანის „წუნდას ტბა", „ვარძია", ვ. გაბესკირიას ლექსები „ცხრა ძმა ხერხეულიძე" (მარაბდის ომის პერიოდიდან), „ვეფხის ტყაოსნის გადამწერი", შალვა აფხაიძის „წამებული" და სხვ.

ქართული მწერლობის ორგანიულ თემად იქცა სოციალიზმის სამშობლო, საბჭოთა პატრიოტიზმი. ამ თემაზე მრავალი ლექსი და პოემა დაიწერა. აღსანიშნავია ამ მხრივ ილო მოსაშვილის, ს. ჩიქოვანის, ირ აბაშიძის, ალ. აბაშელის, ა. გომიაშვილის და სხვათა მაღალხარისხოვანი ლექსები.

შესანიშნავ ლიტერატურულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს „ქართველი ხალხის მიმართვა დიდ სტალინისადმი" ლექსად თქმული ქართველი პოეტების ერთი ნაწილის მიერ.

ლექსების მთელი რიგი დაიწერა აგრეთვე სტალინურ კონსტიტუციაზე. საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურმა ერთიანობამ, მისმა უსაზღვრო ნდობამ კომუნისტურ პარტიისადმი, დიდი **სტალინისადმი** ნათელი გამოხატულება ჰპოვა უმაღლესი საბჭოების არჩევნებში. ეს იყო ზეიმი გამარჯვებული საბჭოთა ხალხებისა. ამ ზეიმში ყოველმა საბჭოთა მოქალაქემ, მუშამ, გლეხმა თუ ინტელიგენტმა მკაფიოდ გამოამჟღავნა პოლიტიკური აქტივობის უდიდესი ზრდა და სოციალისტური სახელმწიფოს წინაშე თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის ღრმა შეგნება. ქართველმა პოეტებმა ამ თემას მიუძღვნეს წიგნი ლექსებისა და პოემებისა, რომელთა უმრავლესობა უკვე ხალხში სასიმღეროდ ქცეულა. ქართული მწერლობისათვის დაუშრეტელი შემოქმედებითი წყაროა **სტალინის** ცხოვრება და ბრძოლა. ამ თემამ დიდი იმპულსი მისცა ჩვენი მწერლობის იდეურ-თემატიურ აღორძინებას.

ამხანაგ **სტალინის** ცხოვრებისა და ბრძოლის მეტად მდიდარმა ბიოგრაფიამ ქართველ მწერლებს მისცა შთაგონება შეექმნათ მასზე ეპიური ნაწარმოები. მთელ რიგ ლექსებსა და პოემებთან ერთად აღსანიშნავია გიორგი ლეონიძის პოემა „ბავშვობა და ყრმობა", რომელიც ეხება **სტალინის** ბავშვობისა და ყრმობის წლებს.

თუმცა პოემა სავსებით ვერ ამართლებს სოციალისტური ეპოსისათვის დამახასიათებელ თვისებებს. პოემას აკლია სუჟეტური განვითარება, სჭარბობს აღწერითი მეთოდი, ნაკლებათაა მოქმედება. პოემის მთავარი მაგისტრალი პეიზაჟების ჩრდილშია მოქცეული და არა სოციალურ გარემოში, რომელშიც დაიბადა და იზრდებოდა ბელადი. ხშირად პოეტს მხატვრული საშუალებებიც ღალატობს. საერთოდ ეპიური ნაწარმოები მოითხოვს მკაცრ სუჟეტურ განვითარებას, დრამატიზმს, მოქმედებას და ამ მოქმედებაში გამოვლინებულ ადამიანთა სულიერ სწრაფვას, გრძნობებს, მისწრაფებებს, მიზნებს და არა უბრალო თხრობას გმირებსა და მათ მოქმედებაზე. ამ მხრივ გიორგი ლეონიძის პოემას აკლია ეპიური გაშლილობა. მიუხედავად ამისა, ეს ნაწარმოები ღირსშესანიშნავი მოვლენაა ქართულ საბჭოთა მწერლობაში.

ამხანაგ **სტალინის** ყრმობის თემაზეა დაწერილი აგრეთვე კონსტანტინე გამსახურდიას რომანი „ბელადი". ჯერჯერობით ეს რომანი გამოქვეყნების პროცესშია და ამიტომ მას აქ დეტალურად არ შევეხებით.

საბჭოთა კავშირის ეკონომიურ-პოლიტიკური განმტკიცების შედეგად განმტკიცდა ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერებაც, რომელიც ეყრდნობა ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მრეწველობას, კოლექტიურ მეურნეობას და საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურ მთლიანობას. საბჭოთა კავშირი საერთაშორისო მშვიდობიანობის დასაყრდენია. ჩვენმა ქვეყანამ გამანადგურებელი ლახვარი ჩასცა იმპერიალისტური ქვეყნების მიერ მოსყიდულ ჯაშუშებს, ტროცკისტულ-ბუხარინელ ბანდიტებს, რომლებიც ლამობდნენ იუდას გროშებზე მიეყიდათ ჩვენი სამშობლო სისხლისმსმელ ინტერვენტებისათვის. ჩვენმა ქვეყანამ საკადრისი პასუხი გასცა იაპონელ სამურაებს, რომლებიც ცდილობდნენ გადმოელახათ ჩვენი ქვეყნის წმინდათა-წმინდა საზღვრები.

დღეს ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმია განაგრძობს სამართლიან ბრძოლას და გამარჯვების ფურცლებს სწერს დასავლეთ უკრაინისა და ბელორუსიის ხალხთა გათავისუფლების საქმეში.

ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმია ამ ბრძოლაშიც, როგორც ყოველთვის, გამარჯვებული გამოვა.

ჩვენი მწერლობის ერთერთ საყურადღებო თემად იქცა სამხედრო ცხოვრება. დაიწერა მთელი რიგი ლექსებისა და სიმღერებისა, რომლებშიც გამოსჭვივის ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერების, თავდაცვითი უნარიანობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის უკვდავი იდეა. აქ აღსანიშნავია ლექსებისა და სიმღერების წიგნი „სამშობლო". უფრო მეტად უნდა გაფართოვდეს სამხედრო თემატიკის არე ჩვენს მწერლობაში. სამხედრო ხასიათის ლექსებისა და პოემების გვერდით ჩვენ არ მოგვეპოება ფართო ტილო, ამსახველი ჩვენი ქვეყნის სამხედრო ცხოვრებისა, საჭიროა ამ მხრივ მუშაობის გაძლიერება.

მრავალფეროვანია და საინტერესო საქართველოს კომკავშირის ცხოვრება. სამოქალაქო ომის წლებში კომკავშირი გვერდით ედგა ბოლშევიკების პარტიას. მისი ხელმძღვანელობით მიდიოდა წინ სამოქალაქო ომის ქარცეცხლში. სოციალიზმის გამარჯვების წლებში კომკავშირმა თავი ისახელა, როგორც პარტიის ერთგულმა თანამებრძოლმა. კომკავშირმა მისცა ჩვენს ქვეყანას ხასანის გმირები, სოციალისტური შრომის დამკვრელები, სტახანოველები, სამშობლოსათვის თავდადებული პატრიოტი-მეჩინავეები. მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობი ნაწილი ჩვენი მოწინავე ქართველი მწერლებისა—გამოსულია კომკავშირის რიგებიდან, ლირიული ხასიათის ლექსების გარდა, კომკავშირის ცხოვრების ღრმად ამსახველი ნაწარმოები ჯერ მაინც არ დაწერილა.

კაცობრიობის გულისყური, როგორც ბედის ვარსკვლავისკენ, მიპყრობილია იმ პატარა, ლამაზ და ბედნიერ კუთხისკენ, სადაც დაირწა მშობლიური **სტალინის** აკვანი. გორში დაიბადა, გაიზარდა და რევოლუციური აღტკინების პირველი სუნთქვა იგრძნო ახალგაზრდა სტალინმა. ქართველი პოეტები დიდის შთაგონებით უმღერიან გენიალური **სტალინის** მშობელ ამ პატარა კერას. ქართველი მწერლები ამჟამად ამზადებენ მხატვრულ კრებულს, მიძღვნილს გორისადმი. ამ ფრიად საპატიო ამოცანაში ჩაბმულია მწერალთა კავშირის მთელი აქტივი.

მრავალფეროვნად იქმნა აგრეთვე ასახული ჩვენს მწერლობაში კოლხიდის თემაც. საუკუნეების მანძილზე ღრღნიდა და სისხლს უშრობდა კოლხიდის მოსახლეობას სიცოცხლის დაუძინებელი მტერი—მალარია. მხოლოდ გმირულმა საბჭოთა ხალხმა შესძლო გაბედულად შებრძოლებოდა ამ საშინელ მტერს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, დიდი **სტალინის** ინიციატივით და ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** ხელმძღვანელობით ქართველმა ხალხმა დაიწყო გმირული შეტევა კოლხიდის ჭაობებზე. დაჭაობებული კოლხიდის მნიშვნელოვანი ნაწილი, რამდენიმე ასეულ ათას ჰექტარამდე უკვე ამოშრობილია. ამ ახლად-დაბადებულ ხმელეთზე დღეს უკვე გაშლილია ციტრუსებისა და ნარინჯოვანი კულტურების საკოლმეურნეო ბაღები. ოდესღაც დაჭაობებული კოლხიდა დღეს სუბტროპიკული ზონის ერთერთ საუკეთესო კუთხედ იქცა. დამკვიდრდა ახალი სახლკარი და მოსახლეობა, ახალი ცხოვრება და ბედნიერება. გულწრფელი პოეტური შთაგონებით უმღერიან დღეს ქართველი მწერლები ამ განახლებულ მხარეს. მათ ლექსებში როდი გაისმის უიმედობისა და სევდის მოტივი, რომლითაც გამსჭვალული იყო ძველი მწერლობის ნაწარმოებები დაჭაობებულ კოლხიდის შესახებ. ლექსებისა და მოთხრობების წიგნში, რომელიც მიუძღვნა ქართველმა მწერლობამ განახლებულ კოლხიდას, ეს მხიარული სიმღერაა ახალ ხმელეთზე, ბედნიერ ცხოვრებაზე და იმ დიდ ადამიანზე, რომლის სახელთან დაკავშირებულია ჭაობში ჩაფლული ხმელეთის ხელახლად დაბადება. აღსანიშნავია ამ მხრივ სიმ. ჩიქოვანის, ალ. აბაშელის, ვ. გაბესკირიას, ი. მოსაშვილის, ირ. აბაშიძის და სხვების გულწრფელი პოეტური განცდით დაწერილი ლექსები. ამ თემაზე საინტერესო პოემები დასწერეს: გ. ლეონიძემ „ფორთოხალი" და სანდრო ეულმა „ქალდიდი". კოლხიდის განახლებულ ფონზეა დაწერილი აგრეთვე პანტ. ჩხიკვაძის დიდი რომანი „ახალი ხმელეთი".

— გაგრძელება —

ქართული მწერლობისათვის საინტერესო თემას წარმოადგენს ძველთაძველი ლეგენდა პრომეთე-ამირანის შესახებ. ამირანი პირმშოა ქართველი ხალხისა. იგი უკვდავი სიმბოლოა ქართველი ხალხის გენიისა. ეს თვალწარმტაცი და საოცარი ლეგენდა საქართველოს მთებით გავრცელდა მთელს მსოფლიოში. დაუძინებელი სწრაფვა თავისუფლების ცეცხლის მოტაცებისათვის ზეციდან და მით ადამიანთა სინათლისა და ბედნიერების დამყარება ქვეყნად — აი საკაცობრიო შინაარსი ამ ლეგენდისა.

ამ საინტერესო თემაზე პოემის დაწერა მიზნად დაისახა სიმონ ჩიქოვანმა. მან პოემის მხოლოდ პირველი ნაწილი გამოაქვეყნა. სასურველია ავტორმა განაგრძოს აღნიშნულ თემაზე მუშაობა.

სოციალისტურ მეურნეობასა და მშენებლობაში ქართველი ინტელიგენციის როლისა და მონაწილეობის პრობლემას დიდი ადგილი უკავია ქართულ საბჭოთა მწერლობაში.

დიდი **სტალინი** საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე, თავის გენიალურ მოხსენებაში აღნიშნავდა: „ძველი ინტელიგენციის ყველაზე უფრო გავლენიანი და კვალიფიციური ნაწილი უკვე ოქტომბრის რევოლუციის პირველ დღეებში გამოეთიშა ინტელიგენციის დანარჩენ მასას, ბრძოლა გამოუცხადა საბჭოთა ხელისუფლებას და ხელი მიჰყო საბოტაჟს. მან ამისათვის დამსახურებული სასჯელი მიიღო. იგი განადგურებულ და გაბნეულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მიერ. შემდეგში მათ შორის გადარჩენილთა დიდი ნაწილი ჩვენი ქვეყნის მტრებს მიექირავა მავნებლებად, ჯაშუშებად, და ამით ამოირიცხა თავისი თავი ინტელიგენციის რიგებიდან. ძველი ინტელიგენციის მეორე ნაწილი, ნაკლებად კვალიფიციური, მაგრამ უფრო მრავალრიცხოვანი, კიდევ დიდხანს განაგრძობდა ერთდაიმავე ადგილის ტკეპნას და „უკეთეს დროს" მოელოდა. მაგრამ შემდეგ, როგორც სჩანს, ხელი ჩაიქნია და გადასწყვიტა სამსახურის კაცობა დაეწყო, გადასწყვიტა შეჰგუებოდა საბჭოთა ხელისუფლებას. ძველი ინტელიგენციის ამ ჯგუფის მეტმა ნაწილმა უკვე მოასწრო დაბერება და მწყობრიდან გამოსვლას იწყებს. ძველი ინტელიგენციის მესამე ნაწილი, უმთავრესად მისი რიგითი ნაწილი, რომელსაც კიდევ უფრო ნაკლები კვალიფიკაცია ჰქონდა, ვიდრე წინა ნაწილს, შეუერთდა ხალხს და მიემხრო საბჭოთა ხელისუფლებას. მისთვის აუცილებლად საჭირო იყო სწავლის შევსება და იგი მართლაც შეუდგა სწავლის შევსებას ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში, მაგრამ ძველი ინტელიგენციის დიფერენციაციისა და რღვევის ამ მწარეტკივილებიან პროცესთან ერთად ხდებოდა ახალი ინტელიგენციის ფორმირების, მის ძალთა მობილიზაციისა და შეკრების მძაფრი პროცესი".

სწორედ „ძველი ინტელიგენციის დიფერენციაციისა და რღვევის ამ მწარეტკივილებიან პროცესს" ასახავს კ. გამსახურდიას რომანი „მთვარის მოტაცება". ამ რომანის მთავარი გმირი, ძველი ინტელიგენციის წრიდან გამოსული თარაშ ემხვარი ზემოთაღნიშნულ სამ გზიდან ირჩევს პირველ გზას. თარაშ ემხვარი დაადგა თვითმკვლელობის გზას და ამით დამტკიცა თავისი მტრული დამოკიდებულება საბჭოთა სამყაროსადმი.

ძველი ინტელიგენციის წრიდან გამოსული ზოგიერთი ნაწილის მისვლას სოციალიზმთან დადებითად სწყვეტს სერგო კლდიაშვილი თავის დრამატიულ ნაწარმოებში „გმირთა თაობა". ასევე დადებითად აქვს გადაჭრილი ეს პრობლემა ვ. გაბესკირიას თავის პიესაში „მათი ამბავი" და ს. მთვარაძეს პიესაში „მთაგრეხილზე". თუმცა მხატვრული თვალსაზრისით უკანასკნელთა ამ ორ პიესაში წამოყენებული პრობლემა ალაგ-ალაგ სქემატიურადაა ასახული. ძველი ინტელიგენციის ცხოვრების ფონზეა გაშლილი აგრეთვე ა. ქუთათელის მოთხრობა „აბესალომ და ეთერი". ამ პატარა მოთხრობაში ავტორმა ოსტატური ხელით დაგვიხატა საყვარელი ქართველი მსახიობ-მომღერლის ვანო სარაჯიშვილის სიმპატიური ფიგურა. ხალხური თქმულების „აბესალომ და ეთერის" სუჟეტის მსგავსად გაშლილია ეს მოთხრობა. ნაწარმოების პრობლემაა წინააღმდეგობა ერთი ადამიანის ორი სახისა—სცენაზე და ცხოვრებაში. ამ გაორებული ადამიანის შინაგანი კოლიზია და ტრაგედია მშვენივრადაა მოცემული ამ ნაწარმოებში.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ახალი სახალხო ინტელიგენციის ცხოვრების მხატვრულად ასახვაში ჩვენი მწერლობა საგრძნობლად ჩამორჩება.

ამ თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის აღსანიშნავია ახალგაზრდა ტექნიკურ ინტელიგენციის ცხოვრებიდან დაწერილი მოთხრობა „ახალგაზრდები" ა. ბელიაშვილისა.

ხალხთა სტალინური მეგობრობა თავიდანვე იყო ქართული საბჭოთა მწერლობის დიდაარსი. სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ საბჭოთა კავშირში შემავალი ერების ცხოვრება და კულტურა მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს. დიდმპყრობელური მონარქია, ეს შავბნელი საპყრობილე ხალხებისა", ყოველმხრივ ცდილობდა ჩაეხშო წინათ დაჩაგრულ ერების ერთმანეთთან კულტურულ დაახლოვებისაკენ სწრაფვა. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შესაძლებელი გახდა ნაციონალური კარჩაკეტილობის ტრადიციის გარღვევა. მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით, ბოლშევიკური პარტიისა და დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირში მოისპო ეროვნებათა ეკონომიური და კულტურული უთანასწორობა. ურყევია და უკვდავი ხალხთა მეგობრობა, „ვინაიდან, სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენთვის საშიში, არც შინაური და არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს". **(სტალინი).** ქართულმა საბჭოთა მწერლობამაც თავისი შემოქმედების მტკიცე აგური მიიტანა ხალხთა სტალინური მეგობრობის საქმეში. გაფართოვდა და გაიშალა საბჭოთა მწერლის თემატიური არე. მოძმე ერთა ცხოვრება და შემოქმედება ახლო და მშობლიური გახდა მისთვის. ქართველმა მწერლებმა მოძმე ერების ცხოვრებიდანაც სცადეს მხატვრული ნაწარმოების დაწერა. აღსანიშნავია ამ მხრივ კ. ლორთქიფანიძის მოთხრობათა ციკლი საბჭოთა ბელორუსიის შესახებ. მაღალმხატვრულ და რეალისტურ ფერებში მოცემულია რამდენიმე ეპიზოდი ბელორუსი ხალხის ბრძოლიდან იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების წლებში. ქართველი მწერლისთვის უცნობ მასალაზე მუშაობის დროს მოსალოდნელი იყო სქემატიზმისა და ემპირიული ხედვის საშიშროება. მაგრამ მწერლის ნიჭიერმა ალღომ ეს საშიშროება დასძლია და მოძმე ბელორუსიის ხალხს ძვირფასი ნაწარმოები მიუძღვნა. ბელორუსი ხალხის ცხოვრებას ეხება აგრეთვე რ. გვეტაძის ბელორუსული მოთხრობები „მახრა" და „სკირგაილო". აქაც მოცემულია ბელორუსი ხალხის ბრძოლის გმირული ეპიზოდები სამოქალაქო ომის ისტორიიდან.

საბჭოთა უკრაინის ხალხის ცხოვრებას ეხება კ. გამსახურდიას ნარკვევი „უკრაინის თემიდი", რ. ქორქიას მოთხრობა „შჩორსი". უკრაინელი ხალხის დიდი პოეტის — ტარას შევჩენკოს ცხოვრებიდან პოემა დასწერა სანდრო ეულმა. ბელორუსიისა და უკრაინის ხალხთა ცხოვრებაზე მშვენიერი ლექსები დასწერეს აგრეთვე პოეტებმა: ილო მოსაშვილმა, ალ. ქუთათელმა, გ. კაჭახიძემ და სხვებმა. ქართველი პოეტების აქტივმა დიდი სიყვარულით სთარგმნეს და ცალკე წიგნად გამოსცეს დიდი რუსი ხალხის გენიალური პოეტის პუშკინის ლექსები და პოემები. პოეტმა გ. ცეცხლაძემ სთარგმნა პუშკინის „ევგენი ონეგინი" და ნეკრასოვის ლექსები და პოემები. ქართულად გამოიცა უკრაინის დიდი პოეტის ტარას შევჩენკოს რჩეული ნაწერები. პოეტმა იასამანმა მთლიანად სთარგმნა უკრაინულიდან ტარას შევჩენკოს „კობზარი". ითარგმნა და გამოსაცემად დამზადდა ქართულ ენაზე ოსეთის კლასიკოსის კოსტა ხეთაგუროვის ნაწარმოებთა სრული კრებული, რომელთა თარგმნაში აქტიური მუშაობა ჩაატარეს ვ. გორგაძემ, მ. პატარიძემ და სხვ. აგრეთვე ოსური ლიტერატურის ანთოლოგია 25 ფორმამდე. ითარგმნა და გამოიცა ყაზახი ხალხის მომღერლის ჯამბულის ლექსები. რჩეული ათი ქართველი პოეტის მიერ მთლიანად ითარგმნა უდიდესი სომხური ეპოსი „დავით სასუნცი". ამით ქართველმა მწერლებმა კიდევ ერთი მტკიცე აგური მიიტანეს საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურულ დაახლოვების საქმეში.

ჩვენი მწერლობის რიგებს შეემატნენ ახალგაზრდა კადრები. მათ ჩვენს ლიტერატურაში შემოაქვთ ახალი სურნელება, სითბო და სიხარული. ბევრი მათგანი უსათუოდ ნიჭით არის დაჯილდოებული (ამისულაშვილი, კალანდაძე, ბალიაური, გელოვანი, ჯაბუშანური, უბილავა, საჯაია, ასათიანი, მ. მრევლიშვილი, ისიანი, ხიმშიაშვილი და სხვ.), მაგრამ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: უმრავლეს შემთხვევაში ახალგაზრდა მწერლები ნაადრევი პროფესიონალობის სურვილითაა გატაცებული. სწყდებიან სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკას, გაურბიან სწავლას, არ ილწვიან მხატვრული დონის ამაღლებაზე, ამოიჩრიან კალამს იღლიაში და დილიდან-საღამომდე მწერალთა სასახლეში ტრიალებენ. ამაში დიდი ბრალი მიუძღვის, პირველ რიგში, ჩვენს კრიტიკას. ზოგიერთი კრიტიკოსი ხანდახან ისეთი დითირამბებით მიმართავს ასეთ ახალგაზრდებს, რომ ეს უკანასკნელნი ხშირად იწვევს თავბრუდახვევას, ვიდრე ინტერესს თავისთავზე მუშაობისას. ხშირად ხდება, როცა კრიტიკოსები ორიოდე ლექსის პატრონს დიდ მწერლად გამოაცხადებენ და წერენ: „ამადაამ პოეტის შემოქმედებამ". რაც უნდა კარგი იყოს ორი ლექსი, მაინც შემოქმედება როდია. უნდა იწერებოდეს ბევრი და კარგი. აკაკი წერეთელი, ვაჟა, ილია და სხვები, იმიტომ არიან კარგი მწერლები, რომ ისინი სწერდნენ ბევრს და ამავე დროს კარგსაც. ჩვენი ახალგაზრდებიც შემოქმედებითი შრომის ამ პრინციპს უნდა შევაჩვიოთ, თორემ ზოგ შემთხვევაში ზედმეტი ქებისგან ახალგაზრდა პოეტი კარგავს მოთმინებას, წარმოიდგენს თავისთავს დასრულებულ პროფესიულ მწერლად, არაფერს არ სწერს, არ მუშაობს თავისთავზე. იგონებს ანეკდოტებს და საბოლოო ანგარიშში მასხარად იქცევა. ამ ახალგაზრდა მწერლების გაყოყოჩებით ჩვენ მათ ვუკარგავთ უფროს თაობისადმი პატივისცემის გრძნობასაც. ამაში არა მარტო კრიტიკას, არამედ ჩვენი ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსაც მიუძღვით ბრალი. ისინი ახალგაზრდა მწერლებში შემოქმედებითი შრომის კულტურისადმი გემოვნების დანერგვის ნაცვლად სრულიად საწინააღმდეგო საშუალებებს მიმართავენ: ხშირად აქვეყნებენ მოუმწიფებელ ნაწარმოებს და გადაჭარბებით აქებენ, ანდა, პირიქით, ახალგაზრდა ავტორებს ხშირად ხელაღებით უარს ეუბნებიან და არაფერს არ უბეჭდავენ. ორივე ეს მეთოდი მავნეა ახალგაზრდა მწერლობის განვითარებისთვის.

კიდევ ყურადღება უნდა მიექცეს ერთ გარემოებას. ახალგაზრდა მწერლებში ჩვენ ხშირად ვამჩნევთ პასიურ თემატიკას. ლექსებში უფრო მეტად ლაპარაკია პეიზაჟებზე, ვარდებზე, ბულბულებზე და სხვ. ეს ლექსები მოკლებული არიან ღრმა სოციალურ შინაარსს. ამ ახალგაზრდა მწერლებმა, პირიქით, უფრო უნდა გააძლიერონ გმირული ხმა უფროსი თაობისა და არა შეანელონ იგი უიდეო ლირიკით. ამის მიზეზი ისევდაისევ ის არის, რომ ეს ახალგაზრდები მჭიდროდ არ არიან დაკავშირებულნი ცხოვრებასთან. ნაკლებად არიან ჩაბმულნი საზოგადოებრივ მუშაობაში, არ იცნობენ როგორც საჭიროა ჩვენს პოლიტიკურ ვითარებას, არ ითვისებენ პარტიის ისტორიას და სხვ. ეს ყველაფერი კიდევ იმიტომ ხდება, რომ მწერალთა კავშირი ჯეროვანად ვერ ხელმძღვანელობს ახალგაზრდა მწერლების კადრებს. მათ მწერალთა კავშირის მიერ კიდევ არა აქვთ შექმნილი სალი აღმზრდელობითი ატმოსფერო. ამ მხრივ ჟურნალმა „ჩვენმა თაობამ" სათანადოდ უნდა გაშალოს მუშაობა თავის გარშემო შემოკრებილ ახალგაზრდა ლიტერატურულ წრეში — კონსულტაციების, საუბრების, მოხსენებების, თეორიული ხასიათის ლექციების სისტემატურად მოწყობის გზით. საჭიროა კრიტიკოსებმაც იმუშაონ სისტემატურად ახალგაზრდა მწერლებთან.

ჩვენ მრავალი საშუალებანი და შესაძლებლობანი გაგვაჩნია ახალგაზრდა კადრების აღზრდისთვის. მხოლოდ ამას მაქსიმალურად გამოყენება უნდა. მწერალთა კავშირმა უფრო უნდა გააძლიეროს თავისი ზრუნვა ახალგაზრდა მწერლების იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაზე. მათ შეიარაღებაზე მარქსისტულ-ლენინური თეორიით, ახალგაზრდა მწერლების მხატვრული დონის ამაღლებაზე და სხვ. უნდა დაეხმაროს მათ „საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" დამოუკიდებლად შესწავლაში. უნდა გვახსოვდეს ამხანაგ **სტალინის** მითითება, რომ „რაც უფრო დაბალია მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მოსალოდნელია მუშაობის ჩაშლა და ჩაფუშვა, მით უფრო მოსალოდნელია თვით მუშაკთა დაკნინება და გადაქცევა მენაცვლე-საქმოსნებად, მით უფრო მოსალოდნელია მათი გადაგვარება". როგორც მწერალთა კავშირმა, ისე მასში შემავალმა ლიტერატურულმა ორგანიზაციებმა თავიანთ ერთერთ მთავარ ამოცანად უნდა დაისახონ ახალგაზრდა მწერლების აღზრდის საქმე.

მხატვრული მწერლობა დიდ როლს თამაშობს ბავშვთა პოლიტიკურად და კულტურულად აღზრდის საქმეში, რატომღაც გონიათ, რომ საბავშვო მწერლობა თვით ბავშვებისა და მწერლობაში ხელმოცარული ხალხის საქმეა. ეს არ არის მართალი. სწორედ ბავშვს სჭირდება ყველაზე უფრო მხატვრული ლიტერატურა. ამ უკანასკნელზე უნდა აღიზარდოს ჩვენი მომავალი თაობის მორალი და გემოვნება. ჩვენი დიდებული კლასიკოსები ილია, აკაკი, ვაჟა და სხვები ამავე დროს დიდებული საბავშვო მწერლებიც იყვნენ. რომ ბავშვებში შთაინერგოს ყველა დამახასიათებელი თვისება სოციალიზმის მშენებელი გმირი საბჭოთა ხალხისა, ამისთვის საჭიროა არა სასხვათაშორისო დაწერილი ლექსები, არამედ ნამდვილი მაღალმხატვრული ნაწარმოებები. მართალია, ზოგიერთი ჩვენი თვალსაჩინო მწერალი, როგორიცაა ლეო ქიაჩელი, ილო მოსაშვილი, ნინო ნაკაშიძე, მარიჯანი, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი კაჭახიძე და სხვ. მუშაობს საბავშვო მწერლობის დარგში, მაგრამ ეს მუშაობა სისტემატურ ხასიათს არ ატარებს. საჭიროა ჩვენს ბედნიერ და მოზარდ თაობას მივცეთ მეტი საყვარელი და საჭირო წიგნი. საჭიროა საბავშვო ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა და გამომცემლობებმა, მწერალთა კავშირის ორგანიზაციამ მთელი თავისი მუშაობა წარმართონ გამოცდილი მწერლების უფრო დაახლოვებისკენ საბავშვო თემისადმი.

ცნობილია, რომ ყველაზე ვიწრო ადგილს ჩვენს ლიტერატურაში წარმოადგენს საბჭოთა კრიტიკა. ამ უკანასკნელ დროს, თუ დავაკვირდებით, ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებში ხშირად იბეჭდება კრიტიკა კრიტიკაზე. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი კრიტიკა ჯერ კიდევ საგრძნობლად რჩება უკან ჩვენს ლიტერატურას. რაში გამოიხატება ჩვენი კრიტიკის სისუსტე? არასწორ, არაპრინციპულ, არაობიექტურ და ხშირად ზერელე მიდგომაში. ჩვენი კრიტიკის სისუსტე და ხანდახან მხატვრული უგემოვნებაა სწორედ ხშირი მიზეზი იმისა, რომ ნაწარმოების განხილვის დროს კრიტიკოსი ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში ვარდება. ერთიდაიგივე კრიტიკოსი ერთსადაიმავე ნაწერებზე, მხოლოდ სხვადასხვა დროს, ნაირნაირ აზრებს ამბობს. ჩვენი კრიტიკა ჯერ ვერ ახერხებს რომელიმე ნაწარმოების მთლიანობაში განხილვას. ან მთლად უნდა აქონ ნაწარმოები, ან მთლად უნდა აძაგონ. კრიტიკის ორივე ეს მხარე სახიფათოა მწერლობის განვითარებისთვის. კრიტიკოსი, ჩემის აზრით, ისეთივე შემოქმედია, როგორც მწერალი. კრიტიკაც, ჩემის აზრით, იგივე შემოქმედებაა უნდა იყოს, როგორც ლექსი, პროზა, დრამა და სხვა. მწერლის ნაწარმოები ეს ხომ მწერლის ინდივიდუალური გრძნობაში გატარებული ცხოვრებაა საზოგადოებრივი შეგნების თვალსაზრისით.

[illegible] ლური შემოქმედებაა. ჩვენი კრიტიკა ჯერჯერობით ღრმად ვერ წვდება [illegible] შემოქმედებას. ხშირად ჩვენი კრიტიკოსები ხელაღებით ისეთ ნაწარმოებებს აქებენ, რომ გადაჭარბებას იწვევს.

ჩვენი კრიტიკოსები ხშირად წერენ თეორიული ხასიათის წერილებს პოეზიაზე, დრამაზე, ლირიკაზე და სხვადასხვა პრობლემებზე, ერთი სიტყვით, წერენ იმაზე, რაზედაც არაერთხელ და ათასჯერ დაწერილა და გადაღეჭილა. ან და, მიდიან მეორე წინააღმდეგობის გზით: წერენ კლასიკოსებზე, როგორც რუს, ისე ქართველ კლასიკოსებზე, რომელთა შესახებ უკვე [illegible] არსებობს. თანამედროვე მწერლობაზე წერას კი — გაურბიან, ყოველ შემთხვევაში წერენ ზერელედ. რაღა ითქმის ჩვენი კრიტიკის ძველი თაობის შესახებ, რომელიც მე-19 საუკუნის აქეთ არ იხედება? საჭიროა კრიტიკა ორგანულად დაუკავშირდეს მწერლობას. საჭიროა კრიტიკა ეხმიანებოდეს მწერლობას იდეურ-მხატვრულ ნაწარმოებების შექმნისათვის ბრძოლაში; ამავე დროს უნდა აღმოიფხვრას ზოგიერთი მწერლების მოუთმენელი და აგდებული დამოკიდებულება კრიტიკისადმი. ჩვენ გვყავს უსათუოდ ნიჭიერ კრიტიკოსთა კადრი: შ. რადიანი, გ. ნატროშვილი, ბ. ჟღენტი, ლ. ასათიანი, ა. გაწერელია, [illegible], ა. სულავა და სხვ. [illegible]

[illegible]

(დასასრული მე-3 გვ.)

უფლისა არაბული

კონსტანტინე გამსახურდია

აქ წარმოდგენილი ნაწყვეტი ამოღებულია კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან „ბელადი“. 40 სასტამბო ფორმის მანძილზე ავტორს მოცემული აქვს მხატვრული პანორამა რევოლუციის კვირაძალისა, დიდი სტალინის ზრდისა, დავაჟკაცებისა და ბრძოლის პერიოდები—1879-1913 წლამდი. პირველი ტომი, რომელიც გორის პერიოდს შეიცავს, მოკლე ხანში გამოქვეყნდება. (დაახლ. 15 სასტამბო ფორმა).

მთებს მოსდგომიან მდინარეს ჩრდილოეთისაკენ სამხრეთიდან დაძრულნი, მტკვარს დაუდევს მზღვარი მათი სარბიელისთვის, მხოლოდ გადაღმა, — ნაზამთრალი კამეჩის ზურგივით მოტვლეპილი ქედის ნაწყვეტი დარჩენილა ერთი და მასზე სდგას ქონგურებშელეწილი, უზარმაზარი ბასტიონი. ნისლიან სალამოს რუხ დრედნოუტს წააგავს იგი, ხოლო მზვარეში აკროპოლისს, ათენის ციხეს.

ცა ალუმინის ხუფივით დამხობია მყარს.

დურაჯისფერი დასდებია როგორც ღრუბლებს ნაგვიანევი სხივისაგან კიდეშეფაკლულს, ასევე პატარა ქალაქსაც, ციხის გარშემო გაშლილს.

ამ ცადაზვინული ციხექალაქის ბუმბერაზობა მომეტებულად აჩიავებს პაწია, უგემურ სახლებს — ციხიდან მომავალი ბილიკების გაღმაგამოღმა.

რთველობა მოწეულა, ზემოუბნის მცხოვრებნი მახლობელ ვენახებში გახიზნულან. მხოლოდ ძაღლები ჩალიჩობენ აქა-იქ შუკებში. ფარდულზე გასული მამალი ფრთას ფრთას შემოჰკრავს და ჰყივის ძალოვანი ხმით, უხმობსო თითქოს დასავლეთისაკენ გაპარულ მზეს, ხანაც ციხის ქედიდან გადმომდგარი სახედარი აღრიალდება და ამ ხმის ეხო გაისმის გრგვინვით ჰორიზონტიდან ჰორიზონტამდის, კვერნაქის მთიდან რუისის ქედამდის და ბურეთის მთების გადაღმა.

ქოხები ქოხებს ეკვრიან გვერდს, ქოხები ქოხებზე მიუსრესიაო განგებისად თითქოს ვიღაცას.

მათ მისდევენ ერთსართულიანი ფარატინა სახლები, შეხოხლებული სახურავები, ფრინველის სკორესაგან დაწინწკლული სამტრედეები, მიწურები და აღმოსავლური ბანები და მათ კიდეებში უმწეოდ ამოსული მცენარეული, ისეთი უდღეური და უნიათო, როგორც ოცნება უსაფუძვლო და განწირული.

თვალს ახარებს აქა-იქ სახლების ლაფაროში მოშენებული პაწია ხილნარები, მზისგან დამწვარი ლოყები ატმისა და ვაშლებისა, მაღალი, დალმეჭილი უნაბის ხეები, წითელ-ყვითელი ნაყოფით დახუნძლული. ტალავერების შეყვითლებულ ფურცლებისაგან გამოკრთის აქა-იქ გაღვივებული მტევნების ქარვა და ლალი.

და ისევ წააწყდება თვალი თუნუქის და ყავრის სახურავების მწკრივებს და სახელდახელოდ შეხანხლულ ყორეებსა და ღობეებს.

საერთოდ მთელი ღარიბთა უბანი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს ვიღაცეებს უცხოვრიათ დროებით აქ და მიუგდიათო ეს გარემო ღვთის ანაბარა.

ქოხთა შორის მხოლოდ ერთადერთის კარი იყო გამოღებული, რიკულებიან ქართულ აივანზე მანდილიანი დედაკაცი იჯდა და ჩვილს ათამაშებდა.

დაადგმევინებდა თუ არა ყრმას ხალიჩაზე ფუნთუშა ფეხებს, ხელს შეუშვებდა ერთბაშად. ხარობდა ბედნიერი დედა, უბრწყინდებოდა თვალის უპენი, მაგრამ როგორც კი უსუსური იოგები ველარ შესძლებდნენ ფაფუკი სხეულის ზიდვას, მყისვე შეაშველებდა ორივე ხელს, ამაოდ შერიპობდა დედა, ბინდი მოწეულიყო, შეატყო ჩვეულებრივად არ ხალისობდა ბალღი.

სანახევროდ ბნელ ოთახში ლამპა ხრჩოლავდა, დედამ ფრთხილად გაიარა კედლის გასწვრივ. საწოლსა და აკვანს შორის შესდგა დაფიქრებული.

შეყოყმანდა:

ისევ აკვანში ჩაეწვინა ჩვილი, თუ დედ-მამის საზიარო საწოლზე? არა, საწოლზე არ ივარგებდა, მამა გვიან მოსულიყო ვინძლო, გააღვიძებდა ყრმას.

ახლა სკივრისაკენ გაიხედა.

ლეიბი ზედ დაეგო და იქ დაეწვინა ღამით?

ეგები ძია უფლისა მოყვეს ბავშვის მამას, პურმარილს მიაძალებდნენ სტუმარს, დასჭირდებოდათ უთუოდ სკივრის გაღება.

დროული ქალები დაჟინებით მოითხოვდნენ: აკვნიდან ამოეყვანათ ბავშვი.

საწოლზე დაიმუხლა დედამ, ცალი ხელით დაითრია აკვანი, აჟღრიალდნენ აკვნის ტარზე დაკიდული თეთრი კიმილები.

გაჭირვეულდა, ატირდა პატარა. ქვეშეცნეულად მიხვდაო თითქოს, უსაწოლობის გამო რომ აწვენდნენ აკვანში საკმაოდ მოჩიტულს.

უკვე თავისუფლებას მოითხოვდნენ მისი ჯანსაღი სხეულის იოგები, ამიტომაც სძაგდა მას მწუხრის მოახლოვება, დღისით ნებიერად ბულრაობდა დედ-მამის საწოლზე, მუთაქებს აბურთავებდა, დაჩოჩავდა სოხანეზე. უკვე ახერხებდა ბურთების, კოვზების, ჯამების გადასროლას.

მოვიდოდა ღამე თუ არა, აახრჩოლებდნენ ჭრაქს და ალასლასდებოდნენ კედლებზე დედის, მამისა და მეზობლიანთ ცოქალას ვეება ლანდები და ერთ წუთში მისთვის მახლობელი ადამიანები ჰკარგავდნენ ფერსა და გამომეტყველებას.

და იცვლებოდა ჩვილის წარმოდგენაში არა მარტო ადამიანთა აღნაგობა, მათი კიდურების მოძრაობანი, არამედ ხმაც, დახველება, ან ამოხვრინვა, ანაზდეულად ძლიერდებოდა და საშიში ხდებოდა.

დაუკოცნა ლოყები ფუნთუშას დედამ, მერმე ჩააწვინა აკვანში. უარესად ატირდა პატარა, უმწეოდ ასხმარტალებდა მუშტებად შეკრულ ხელებს, მუცლის სიახლოვეს ჩანაოჭებულსა და ჩაპუტკუნებულ ფეხებს.

ტირილმა საოცრად შესძრა მისი სალუქი სახე, ნაოჭები წამოესიენ ტუჩ-პირის არეში, სახე აემრიზა და გაუწითლდა. ორიოდე წინა კბილი ელავდა ჭრაქის სინათლეზე წითელი, შიშველი ღრძილების ფონზე.

„სუ, უ... გენაცვალოს დედა, მამილო მოგიტანს კაკას“. ეუბნებოდა დედა, თანაც კარებისაკენ იხედებოდა.

ორივე ხელი გაუსწორა ბალღს, მოსწია წინა არტახს, გადაუჭიმა ზედ და მაგრად მოუჭირა გულმკერდზე.

პერანგი დაპატარავებოდა, გასჭიმა კალთა დედამ, მაგრამ ჭიპს ქვემოდ არ გადასწვდა აკვანში მწოლარეს, აკოცა და შიბაქი გაუკეთა, მერმე დასწვდა ორივე ხელით, ფეხები გაუჭიმა, ცალი ხელი კვირისთავებზე დაადო, ცალითაც არტახი წამოიღო და ასევე მოუჭირა მუხლებზე, აკვნის საწოლზე გარს მოვლებული თასმები მაგრად მიაბა აკვნის ტარს.

როცა მთელი სხეული სავსებით შეკრული ჰქონდა პატარას, იგი უარესად ატირდა, ცალკერძ არტახებისაგან მტკიცედ შეკოჭილი, ცალკერძ ქოხში დავანებულ სიბნელისაგან შეშფოთებული.

იჯდა და არწევდა დედა აკვანს.

მონოტონური ტკაპა-ტკუპი ისმოდა ბნელში, ამ რიტმიულ რყევისაგან თვალმილულულ ჩვილს მოერია რული.

არწევდა დედა აკვანს, თანაც ფიქრობდა:

ძია უფლისას შემოეთვალა ამილახვრიანთ ჯოგებს მოვყვებიო სტეფან წმინდიდან. ყოველ წელს ამ დროს ჩამოყვებოდა ხოლმე ძია უფლისა ხევიდან ჯავახეთისაკენ გასალალავ ცხვარს.

ახლა ანაზდეულად რომ გაიღოს კარი და ძია უფლისამ შემოჰყოს თავი, რა ჰქნას მარტოხელა დედაკაცმა? წვეთი ღვინო შინ არ ეგულება, ხმელი პურით როგორ დაუხვდეს სტუმარს?

დღეს შაბათია, შესაძლოა, ნაღვინევი მოვიდეს ბავშვის მამა ნაშუაღამევს....

ემართლებოდნენ პატივდებას ძია უფლისას, ამ ოჯახის ძველს მოამაგეს.

ასეთი რამეც შესაძლოაო, ასე ფიქრობდა დიასახლისი: ვინ იცის, ეგებ გზაში შეხვდნენ სტუმარი და მასპინძელი ურთიერთს. თუ ცხვარს ქალაქს გარეთ დასტოვებდა ძია უფლისა, დუქანში შეუხვევდნენ სადმე.

დახედა დედამ პატარას, აუმღვრეველი ძილი დაუფლოდა მოუსვენარს. ადგა, ფეხაკრეფით აუარა გვერდი კარტოფილის ტომრებს და დახჯღრეულ სკამებს, გავიდა უნაბის ქვეშ.

მართლაც და მოწინავე ჯოგები ღმუილით შემოდიოდნენ ქალაქში. ქინჩგასუქებული მოზვრები მობღაოდნენ, ჭიხვინებდნენ უბელო ულაყები, წვერცანცარა თეთრი ვაცები ამაყად მოუძღოდნენ ცხვრის ფარებს და ისეთი ალიაქოთი დამდგარიყო გარშემო, თითქოს ადამიანები გამქრალიყვნენ სადღაც და ეს ქალაქი როდი ყოფილიყო, არამედ მეჯოგეებისა და მეცხვარეების ბანაკი.

გვიმრისფერ ფაფახიანი მწყემსები გრძელი კომბლებით მოერეკებოდნენ საქონელს. ენაგამოგდებული ნაგაზები გვერდით მისდევდნენ გზებზე გაშლილ ცხვარს, თანაც იქედნურად უღრენდნენ ყორეებიდან გადმოცვენილ უჯილაგო, ქალაქურ ქოფაკებს.

ჩებიჩი[1] ამაყად მოაბოტებდა, ნიავი არხევდა მის თეთრწვერებს, როცა გზას გადაუჭრიდნენ ცხვარს, ბოტი შესდგებოდა, დაჟინებული მზერით გამოიხედავდა.

ერთბაშად შუაში გაიპო ფარა, სამცხენიანი ეტლი მოდიოდა გრიალით, ეტლში გაჯგიმული იჯდა ეპოლეტიანი, ქერა კაცი, გულგრილად შესცქეროდა ფარას, ორი მცველი მეეტლეს მოსჯდომოდა აქეთიქით, სამი ცხენოსანი უკან მისდევდა.

მწყემსებმა შორიდანვე იცნეს მაზრის უფროსი ცოვიანოვი, დაფაცურდნენ, კომბლებს უცაცუნებდნენ ცხვრებს, რათა გზა მიეცათ ეტლისათვის. ცხვრები ფეხებში უცვიოდნენ ცხენებს, ეტლმა სვლას უკლო.

ჩებიჩი შესდგა, იქითკენ გაიწია, სადაც ორომტრიალი გაჩნდა. როცა ეტლმა და ცხენოსნებმა ჩაიარეს, მოხუცი სარქალი მოვიდა ბოტთან.

„ჩებიჩ, ჩიჰ“...

შესძახა, ხელით აჩვენა მიმართულება.

ჩებიჩმა გახედა ახალ გზას და მხარმარჯვნისაკენ გასარდლა ფარა.

ცა უარესად წარევრავნა ქედანისფერ ღრუბლებს, გორიჯვრისაკენ აღმართულიყო უზარმაზარი ქორედი ღრუბლისა, თეთრყომრალი ფერებით შემკული, ისეთი უჯიათი და გულზვიადი, როგორც ელვათატეხის მომლოდინე ყაზბეგის მთა. ხოლო კვერნაქის მთისაკენ გასდევდა მთლიანი ზურმუხტის ზოლი, რომლის ლინგებსაც გნოლის გუნდივით გაწკაპული ქულები მოსდევდა, კიდე-კიდე გარს მოვლებული.

გორის ჯვრიდან მოდიოდა ზარების რეკვა, ნელი, სავსებით ნელი და წკრიალა. ეს ხმა თან მოჰყვებოდა ქალაქისაკენ დაძრულ ბინდს, როგორც შორს გაფრენილი მიმინოების ეჟვნების ჟღარუნი.

ახლა ქალაქიდან მათ გაეხმაურნენ მათზე დიდი და ღუღუნა ზარები, მძიმე და უხეში როგორც დროგის ცხენების ბრაგუნი მტკვრის ხიდზე.

ქუჩებსა და შუკებში მოზიმზიმე, კარტუზიანი, განიერ შარვლიანი მოქალაქენი ქუდს იხდიდნენ და სათნოდ იწერდნენ პირჯვარს.

კუთხეებში მოგროვილი მოწაფეები მხიარული ჟრიამულით ავსებდნენ ქუჩებს, მხოლოდ ისინი არად აგდებდნენ მწუხრის ზარების ერთობლივ ჟღარუნს, მოუსვენრად ანგლობდნენ... ზოგი ინსპექტორის უეცარ ჩამოქროლებას უთვალთვალებდა, ფორმიანი მოწაფე ქალების პროსპექტზე გამოჩენას უცდიდა ზოგიც. ყროყინებდნენ ციხის ქედიდან გადმომდგარი სახედრები, უხმობენო თითქოს გარსმდგარ ბნელს.

„გოროდოვოები“ უსტვენდნენ მთავარ პროსპექტზე, ორი „აკოლოდნიკი“ მიარში შესდგომოდა „პრაპორშჩიკ“ თავადს, რომელსაც ორი რესტორანი დაელეწნა სიმთვრალეში, და შეურაცხყოფილი ბლაოდა, მესამეს დამტვრევა რომ არ დაანებეს.

ურდულებით კეტავდნენ დუქნებს, ცალკერძ ღამისა და ცალკერძ „პრაპორშჩიკის“ შიშით, ღიპიანი მედუქნეები, ჭონები, ხარაზები და სირაჯები.

ქალაქელების ღორ-ხბო ზლაზვნით მოსდევდა იმავე ქუჩას, რომლის ფილაქანზე კოკარდიანი „ჩინოვნიკები“, მასწავლებლები, ინსპექტორები, ბერები და მოწაფეები დასეირნობდნენ.

ხევიდან მომავალ ჯოგებითა და ფარებით შეტბორებულ ქუჩებზე ეტლებსა და ქვეითებს გასავლელი გზა არ დარჩენოდათ.

მტკვრის ტალღისფერმა ცხვარმა გაავსო ქალაქი, ცხვრის სუნი დადგა ქუჩებსა და მოედნებზე. გამოკეტილ დუქნების კარებთან იდგნენ ყასბები, ლაზღანდარობდნენ, დუმებს უქებდნენ ფარას.

ეზოდან გადმომდგარმა მანდილიანმა დაძაბა მზერა, თავის უბნისაკენ მომავალ შუკას დააცქერდა.

ორთაშორის წინ მომავალი უფლისა არაბული უნდა ყოფილიყო. გვიმრისფერი, წოწოლა ფაფახი ეხურა, წილ-ამურები უჩრდილავდნენ სახეს. გაღეღილ ტყაპუჭიდან უშველებელი სატევარი უჩანდა, კონკილასავით ქანაობდა იგი ქამრის ზევით გადმოწოლილ ღიპს ქვეშ.

მოახლოვებულნი შეიცნო სერზე მდგომარემ.

ეს საკმაოდ შეჭაღარავებული ვაჟები მოსდევდნენ უფლისას გვერდით, ქიტესა და ვამეხი.

მახლობელ ჩიხში შელალეს ფარა.

ყორეების ძირში მილაგდნენ ცხვრები, მგელ-ძაღლები შემოეწყვნენ გარშემო. სულ რამდენსამე წუთში ერთ მთლიან სხეულს დაემსგავსა ტალღისებრ გაშლილი ჯოგი, ცხვრებმა უკანა ფეხებს შორის შეუწყვეს ურთიერთს თავი და მიწაზე გართხმულნი ისე ხვნეშოდნენ თითქოს უცნაური რამ სიმძიმილი შეუცვნიაო პირუტყვს.

მთვარემ გადმოიხედა გორისჯვრიდან და გაანათა ბნელში ჩაფლული ქალაქი.

„კიკე შენა“? წარმოსთქვა ეზოში შემოსულმა უფლისა არაბულმა და თვალებზე მოიჩრდილა ხელი. დაწინაურდა დიასახლისი, შინ შეუძღვა სტუმრებს.

„აგვიშენდით“, სთქვა ბოხი ხმით ღია კარებში შემობოტებულმა დევკაცმა, ააჭრაჭუნა პაწია სახლი და მისი უზარმაზარი სხეულის ჩრდილი ანაზდეულად ატოკდა კედელზე.

იატაკის ჭრიალზე გამოეღვიძა ჩვილს და ტირილი მორთო.

ჯიქურ მივიდა სტუმარი აკვანთან. წვეტწამახულ ულვაშებზე ხელი გადაისვა და მუხლმოდრეკილმა შუბლზე აკოცა ყრმას.

მერმე უკუდგა, გაულიმა აკვანში მწოლარეს, მოხარშულ კიბოსავით წითელი ხელი მკერდზე დაადო და შეანჯღრია იგი ტლანქად, მწყემსურად.

ბალღი დადუმდა რა შენიშნა რომ ეს ტყაპუჭიანი მაჯლაჯუნა არც ისე საშიში ყოფილა ახლოსმოსული, გიშრისფერი თვალები მიაშტერა უცნობს.

ვამეხმა, უფროსმა ვაჟმა, თეთრი ციკანი გამოიყვანა მხრებზე წამოგდებულ თექიდან, უფლისამ მკლავი გაუწოდა, ბალღის შესახედავად ყურებზე ხელი გადაუსვა და მიჰგვარა აკვანში მწოლარეს. ბავშვმა გაიღიმა და დააცქერდა ამ საოცარ, ყურებპანტურა ცხოველს.

მერმე გაუშვა ხელი უფლისამ ციკანს.

აკვნის გარშემო დაბაკუნებდა, კიკინებდა იგი საწყალობელად, ეშმაკივით აცეცებდა თვალებს, გამოსავალს ეძებდა ამ ტყვეობიდან.

ისევ ატირდა ჩვილი, გაიბრძოლა აკვანში, ხელები ამოიღო არტახებიდან, ასავსავებდა პაწია მკლავებს და ტიროდა უმწეოდ. მიუხვდა უფლისა ატირების საგანს, გამოუდგა კვალდაკვალ ციკანს, იმარჯვა ფეხმარდმა ცხოველმა, ხან სკივრზე შევარდებოდა, ხან სკამს გადაახტებოდა, ხან საწოლს ქვეშ შეძვრებოდა, ხან კარტოფილის ტომრებს ზედ გადაევლებოდა.

ფრთამოტეხილ ძერასავით დაბობღავდა ბერიკაცი, მწყემსთა შორის მგელკაცად წოდებული. უფლისა არაბული ისე გაიტაცა ციკნისა და ბალღისაგან წამომდგარმა ხალისმა, ყმაწვილივით დახტოდა ირგვლივ დახერგილ კარტოფილის ტომრებზე.

და ბოლოს, სწორედ ისეთ დროს, როცა საწოლის წინ მუხლმოყრილი ცალი ხელით წაეტანა იგი ციკანს, ხელი მოეცარა ცალზედ დაყრდნობილს და იატაკზე გაიშოთა მოხუცი პირქვე.

ვამეხი და ქიტესა იცინოდნენ, დიასახლისმა ძლივს დაიოკა ღიმი, ხოლო უფლისას უშველებელი სხეულის ბრაგუნმა უარესად შეაშფოთა აკვანში მწოლარე.

კარისალაგთან მიეწია ქიტესა ციკანს, ახლა მან დაიჩოქა და მიჰგვარა ბალღს ყურებპანტურა ტყვე.

ქიტესა იცინოდა, მუცელზე იჭერდა ხელს, კვლავ — შეპყრობილი ციკნის დანახვაზე დიდი სიხარულის ყიჟილი ამოხდა მკერდიდან ბალღს. ეს იყო ის განუზომელი აღტაცება, რომელსაც ცხოველთან პირველი შეხვედრა მოჰგვრის ხოლმე ადამიანს.

სახე გაუბრწყინდა, გაუალმასდა პატარას, მოუცაცუნა თავის პაწია ხელები თივთიკივით რბილსა და ფაფუკ ყურებს, როცა ქიტესამ უფრო ახლოს მიჰგვარა ციკანი აკვანში მწოლარეს, ორივე ხელი მოხვია ბალღმა, მკერდში ჩაიხუტა ეს ჯადოსნურად ლამაზი ცხოველი. მისი მშვენიერი ფშვინვით დამტკბარი ხითხითებდა, ჭყიპინებდა იმ სვებედნიერი სიცილით, რომელიც კაცთა შორის მხოლოდ ჩვილებს აშვენებს ხოლმე.

კარის ჩარჩოში გამოჩნდა ტანმორჩილი, კარტუზიანი კაცის სილუეტი. მას ქალაქური ჩოხა ეცვა, ბედანებთან ნაოჭიანი, ცარიელი საქილეები პლისედ ნაკერივით მიტყუპებოდა მკერდზედ. ახალმოსული ხმამაღლა შეეხმიანა სტუმრებს, შემდეგ ამისა მისი მომღიმარე მზერა ხან ბავშვს მისწვდებოდა, ხანაც ციკანს, აკვნის ახლო დაჩოქილ ქიტესას ხელში ჩაბღუჯულს.

„ეს ციკანი ვამეხმა მოგართვათ, ბესოჯან, საახალწლოდ დაჰკალით, ჩვენი სადღეგრძელო დალიეთ“.

ლუღლუღებდა უფლისა და მუხლისთავებზე ისვამდა ხელს.

„სახელი?“

„სახელი რა ბედენაა, ძია უფლისავ. შენ სახრავი თქვი, თორემ სახელს ყოველი ხუცესი იოლად აგირჩევს. განაგრძო ბესომ. სახელი? და ენა წაუბორძიკდა“.

ეკატერინე კიდობანთან დაფათურობდა, პურებს ალაგებდა ხონჩაზე.

„ეს პურები დაგიწყვია, დედაკაცო, არც ღვინო სჩანს, არცა შექამადი, ბალღს დუქანში გაიქე, ხაშლამა ან ჩახჩი მოარბენინე“.

მიუბრუნდა ბესო თავის ცოლს.

„არააა“,!

სთქვა უფლისამ ბრძანებითი კილოზე, მაგეებს ნუ დაიწყებ, ჩვენ ხოშიანად დავნაყრდით გზაში. თუ მაინც და მაინც არ იშლით, ღვინო მაიტანეთ, ვამეხი და ქიტესა ეხლავე დაჰკლავენ ბატკანს, სანეზვედ მინდოდა ის ოხერი და ფეხი ელრძნა გზაში. ახლავე დაჰკლავენ ბიჭები, ჩობნის ყაურმას გააკეთებენ ახლავე.

„ჩობნის ყაურმა ამ ღამეში“?

გაიკვირვა ყასიდად ბესომ, თითქოს არ იცოდა, რომ ჩობნის ყაურმას სწორედ ღამღამობით აკეთებენ ხოლმე მწყემსები.

— „რომელი ღამეო, — ამბობს უფლისა, — ხომ ხედავ მთვარე გადმოსულაო გორიჯვარზე, ისემც გწყალობდეთ გორიჯვრის მადლი“.

ბესო და უფლისა საუბრით გაერთნენ და როცა დუქნიდან შემობრუნებული დიასახლისი ეზოში შემოვიდა, ვამეხსა და ქიტესას უკვე ოთხში ამოეღოთ ბატკანი.

ეკატერინეს აროდეს ენახა თუ როგორ აკეთებენ ჩობნის ყაურმას, მაინც დაფაცურდა, ხონჩა მოარბენინა და უნაბის ქვეშ დაუდგა ხელსისხლიან სტუმრებს. ქიტესამ გამოშიგნა ბატკანი, კეკემ ნაწლავები და გულღვიძლი გარეცხა, ვამეხმა ეს ყოველივე დაკეპა სრულად, პილპილი, მარილი, ნიორი და ქონდარი მოაყარეს.

ვამეხმა ორივე ფეხი შეუკრა ტყავს, ნაყელარიდან ჩამოკუჭა ხორცი და ჯიგარი, ლერწმის ღერო მოსთხოვა კეკეს, ქიტესამ ერთ წუთში ამოთხარა მიწა, ღადარი ჩაჰყარა შიგ.

ლერწმის ნაჭერი გაურჭო ნაყელარში. ხორცით გავსილ ბატკნის ტყავს, პირი შეუკრა მაგრად, ორმოში ჩაფლეს ბატკანი, ხოლო ლერწმის ღერს თავი ამოაყოფინეს ირგვლივ დატკეპნილ მიწიდან.

ეკატერინეს აუხსნეს და მანაც დიდი კოცონი გააჩაღა ზედ. ამასობაში ბესოს და უფლისას უნაბის ქვეშ გაეშალათ სუფრა. ისხდნენ მთვარიან ღამეში, ატენურსა და ხმელ პურს შეექცეოდნენ და დაბალი ხმით ჭუკჭუკებდნენ ტკბილად.

„ამ წელს არაფერი შაგიმატნია, გარჯას ხომ არ მაუკელ ოსტატო?“

„შენი არ მიკვირს, ძია უფლისა, ამ ჩვენ დროში შრომით ვის აუგია ციხე-დარბაზი? ჩემი ხელობა არაფერს იძლევა, წელებზე ფეხს ვიდგამ და ესაა... ახლა ათასგვარი გადასახადი. ტფილისის ქარხანამ დაგვჩაგრა, მაინც გულს არ ვიტეხ, მინდა სახელოსნო გავაფართოვო“.

ეუბნება ბესო და ღვინოს უსხამს სტუმარს.

„შაგირდები თუ გყავს, ბესოჯან“?

„მყავს, მყავს მაგრამ შეგირდს ქმევა უნდა, ძია უფლისა. გარდა ამისა გამამაძაღლდა ხალხი, ცუდი დრო მოდის, ძია უფლისა. ბანდალა მებადურია ერთი ვირეშმაკა გორში, იგი ამტკიცებს ისეთი დრო მოვიდა, თევზიც გაეშმაკდაო წყალში. წინათ ფაცერს დაუდგამდით, ყოველ დილას ცხრა გირვანქა თევზი დამიხვდებოდაო ფაცერში, ახლა წამლად თუ გაბრიყვდებაო ორიოდე ლიფსიტა.

„მე და ჩემი დედაკაცი დღელამეს ვასწორებთ, კეკე ქარგავს, აუთოვებს, სხვის ოჯახებს ალევს ჯანღონეს, ბალღს მეზობლიანთ ცოქალას ამარათ დააგდებს ხოლმე“.

„სოფელჩი თუ დაგრჩათ რამე?— ეკითხება ძია უფლისა და ერთის დაკვრით გამოსცლის ჯამს.

„სოფელში რაც გვქონდა ძმათა შვილებს მოუნდათ, ჩვენს მეზობლებს აქ ქალაქის მახლობლად ბაღვენახები აქვთ, ჩვენ ამ ერთი უბნის მეტი არაფერი გაგვაჩნია, ისიც სახლის პატრონისაა. თავათ ქალაქშია და ამიტომაც ნებას გვაძლევს გავკრიფოთ ხოლმე“.

ეკატერინემ უნაბის ქვეშ მოიპატიჟა ვამეხი და ქიტესა. თავათ ვაზის წალამი მოფოცხა ყორესთან და ზედ დააყარა კოცონს.

იგი პირველად ხედავდა ჩობნის ყაურმის დამზადებას და ამიტომაც გაფაციცებით თვალს ადევნებდა კოცონის მახლობლად ამოშვერილ ლერწმის ღეროს, საიდანაც ორთქლის პაწია ქულები ამოდიოდა ჟამიდან-ჟამზე.

„ცხოთა მოჯამაგირობას ადვილად იტყვის ენაო“,—სთქვა ძია უფლისამ, თავისი ჟღალი, წამახული ულვაშის წვერები გაისწორა ხელის გულით და მოზვრის ყანწი გამოსცალა.

ორმოცდა სამი წელია ამილახვრიანთ მოჯამაგირეთა ვარო, ვეღარც ჩემს შვილებს ვასწავლეო უკეთესი ხელობა.

„ჩემი პაპის პაპაც მეცხვორე ყოფილაო, ასრე გამიგონია, ჩვენთვი არც ოჯახია, არც მოკეთე, არც დღესასწაული, დღენიადაგ კლდესა და ღრეჩი დავეღეტებით, ვებრძვით წვიმასა და ავდარსა, კაცსა და ნადირსა.

მერე სუყველაი ამ ტიალ ცხვორს ემტერება, ქარი და ყინვა, არწივი და მგელი, მორიელი და გველი, კაჭკაჭი რომ კაჭკაჭია ისიცა მტრობს ცხვორსა. გლეხკაცსავით უმწეოა ცხვორი“.

„ნუ ჩივი, ნუ ჩივი, შენ ძველი მგელკაცა ხარ, ძია უფლისა“.

უთხრა ბესომ და სავსე ყანწი შეაჩეჩა ხელში.

„ეჰ, აღარა ვარ, ბესო ჩემო, მგელკაცა, მუხლები აღარ მივარგა, თოლებს ვიტკიებ, აწი ის დროა ვისვეხებდე და შვილთა მონაგარითა ვცხოვრობდე, მაგრამ ვინღაა გამკითხველი? ვამეხი დაწვრილშვილდა, ქიტესაი არ მიგონებს“...

„ქიტესა რაღას უცდის ნეტავი? ჩააგდო ეკატერინემ სიტყვა.

„ქიტესა ესრე ამბობს, სანამ ქვეყანა ესრე იქნება, ცოლს არ შევირთამო, ჰი, ჰი...“

გადაიხარხარა უფლისამ.

„ჰერი, ჰა, ამას თუ უცადა, ‛კაი დროს შეირთავს. ეს ქვეყანა ათადანბაბადან ასე იყო და ასეც იქნება, ჩემო ქიტესა“.

სთქვა ბესომ და მხარზე ხელი დაჰკრა ქიტესას, რომელიც წელში მოდრეკილი იჯდა თავის თექაში გამოხვეული და სიმინდის ხაშარივით გაბურძგნილ ულვაშებში ნაღვლიანად იღიმებოდა.

შეპყრობილი მაჩვივით აცეცებდა წვრილსა და მოუსვენარ თვალებს.

„ძალუა ოლაი როგორღაა?“

შეეკითხა ეკატერინე და კიდეც დაჰყარა მახობელა პურები მაგიდაზე.

„დედაკაციც დასნეულდა, ‛კეკეჯან, აგერ მესამე წელია ნეკრესის ქარებმა დაიჭირეს“.

ამოიხვნეშა ძია უფლისამ.

„ვამეხს უბედურებამ დაუარა წინაი“.

განაგრძო ხმადაბლა და მიიხედმოიხედა ირგვლივ:

„უფროს ვაჟს მამუკასას ხიფათი მაუვიდა; სტეფანწმინდიდან ცხვორს მეელალებოდა, გამოსცდა სტეფანწმინდას თუ არა, ხედამს: ყაზახის აფიცარი მოდის თავის ცოლითა, ადნაჩკით, ი სამგლე ძაღლი მიეტანა ცხენსა, ხომ იცი ჩვენი ძაღლები რარიგ გულფიცხებია, უკანა ფეხზე უკმინა იმ ცხენსა.

გადმოუხტა აფიცარი, ესროლა ძაღლსა და მაჰკლა. მერმე მამუკაის ჰაულირა, დაასწრო მამუკამან გადჰაიღა თოფ. იქვე გააცია ყაზახის აფიცარი. ფარა მახევეებს გამაატანა და თავათ გადავარდა. იმ დღიდამ მისი სადაურობის არა ვიცით რა, უფროს ქალს ვამეხისას ჩიყვი შაეყარა მაგ ჩემის ცოდვით სამსესა. პატარა გაგაი და შეგვრჩა გულის იმედადა“.

სთქვა და თავი დახარა უფლისამ.

სდუმდნენ თანდამსწრენიცა და ესმოდათ თუ როგორ ჩადიოდა მორიგი ყანწიდან ქიტესას ყრონტში ლიკლიკით ღვინო.

„რამდენი წლისაა ახლა გაგაი?“.

დაინტერესდა ეკატერინე. ვამეხს სახე გაუბრწყინდა მისი შვილიშვილის შვილის ხსენებაზე.

„გაგაი, ეგაა ჩემი სიხარული. მეექუსეში გადადგა გასულ კვირას“.

„გაგიზარდოს, გაგიზარდოს, ძია უფლისა, შენი პატარა გაგაი“, შეეხმაურა ეკატერინე და ტუჩი შეახო ჭიქის ლინგს.

„შენც შენი იოსები გიცოცხლოს. შეაგება ღიმილით ძია უფლისამ დიასახლისს მზერა. გაიზრდებიან, დავაძმობილოთ უთუოდ. გაგაი უკვე მგლეჯიხვობას თამაშობს ხევსურეთში. მშვილდისარს ემარჯვება, იქადნება: არაბულების ციხეს უნდა გადავავლოთ თვალი“.

ბერიკაცს ახარებდა შვილიშვილის შვილის ხსენება. უამბობდა მასპინძლებს პატარა გაგას ჩაუქობისა და სიმარდის გამო და ვინ იცის სანამ გააგრძელებდა ამ ამბავს, ბესოს რომ არ შეენიშნა რომ ჩობნის ყაურმა მზად იქნებაო ახლა.

უფლისამ ანიშნა და ვამეხი გველცემულივით წამოიჭრა, კოცონისაკენ გაეშურა დანარჩენებმაც თავი აილეს და სმენა მიაპყრეს შიშინს.

ლერწმის ღეროდან უკვე თოვლის ფანტელივით თეთრი ქულები ამოდიოდა და ისეთი ფშუკუნი მოისმოდა, როგორც ორთქლმავალს ამოსდის ხოლმე, როცა მემანქანე ონკანს ამუხრუჭებს.

ახლა ეს ფშუკუნი სტვენანარევ შრიალად და შიშხინად იქცა.

„წიგნი უნდა ასწავლო, ძია უფლისა, გაგას, თორემ უსწავლელი კაცი უსინათლო თხუნელასა ჰგავს“. სთქვა ეკატერინემ.

„წიგნი კი არა, ხელობა ასწავლე, ძია უფლისა, ჩაურთო ბესომ, რათ გინდა მშიერი ადვაკატი გამოვიდეს?“

„ვამეხიც ბესოსავით უბნობს: მეცხვორის შვილს რად უნდაო სწავლა, პარსვა იცოდეს, ჭრელა იცოდეს, მეცხვორის შვილი ისევ მეცხვორე უნდა იყოსო, მაგრამ მე არ ვუგონებ ვამეხსა, თუ ვიცოცხლე აქ გამოვგზავნი გოჩი და მერმე თქუენ იცით და თქუენმა სალოცავმა. წიგნი უდიდესი მისნობააო, ესრე ამბობენ, მე და ჩემი შვილები რაიღა ვართ, ფარეხჩი შამავალ ცხვორს კომბალ ვურაკუნებთ წელზე. ესრე ვითვლით, მერმე ჯოხზე ვაჭდევთ ოცეულებსა, ესრე ვიმახსოვრებთ.

„ამილახორი ჩვენი ბატონია, ხუცი, ჩაფარი, მამასახლისი და ათასი მამაძაღლი“.

„მზა არის!“.

წამოიძახა ვამეხმა და ზარით გადახვეტა ნაღვერდალი. ეკატერინე გაოცდა როცა ქიტესამ და ვამეხმა პირდაპირ სუფრაზე მოიტანეს გუდა და გადმოაბრუნეს.

ადგა უფლისა, სატევარი გააძრო ქარქაშს, დაუსვა გუდას მუცლის არეში და ორთქლიანი, შიშხინა ყაურმა ჩამოარიგეს ჯამებში.

მომღიმარე უფლისა დიასახლისს მიუბრუნდა:

„შენთვი ეს ახალი ხილია, იმისთვი იცინი, ჩუვენთვი ერთად ერთი თბილი საჭმელი ეგაა მთაჩი. ერთხელაც იქნება გადავარდება კლდეზედა რომელიმე სულელი ჭედილაი, ან ყოჩი, მაშინ თუ გაგვიხსნილდება ჩუენ. ცხვორი რომ ჩვენის ნებით დავკლათ, სიზმარჩი ნახამს ამილახორი. ვამეხმა უკეთ იცოდა ჩობნის ყაურმის დამზადება, ეხლა რაღაი მაუვიდ. ველარაა გონებაზედა. ი ვაჟისა და ი ქალის ამბავმა ელეთმელეთი მოჰგვარა ბედშავსა. ქონდარი აკლია ყაურმასა, ქონდარი და მარილი.

„აბა რას იტყვი, მოგწონს თუ არა ბესოჯან?“

„სამდურავს რათ იტყვი ძია უფლისავ, ღვთის მოცემული ყველაფერი კარგია. ხენწიფეც ვერ ინატრებდა უკეთესს, პაჰ, პაჰ, პაჰ, პაჰ!“.

ამბობს ბესო და მადიანად შეექცევა ჩობნის ყაურმას.

ბროწეულის ფრად აენთნენ ღრუბლები ბურეთის მთებისაკენ. მთებს გადაღმა ამოვიდა მზე. წითელ-ყვითელი ფერები აელვარდნენ უნაბის ხის შტოებში.

მეცამეტე ყანწი აიღო მოხუცმა მეცხვარემ უნაბის ფრად ლოყებაღეწილმა და დაილოცა:

„ღმერთო დიდებულო და დიდად სახსენებო, შენ გაუმარჯვე ამ ოჯახის დედაბოძს, მის ჯვარსა და მის მამავალსა, ომჩი და ლხინჩი, შინა და გარეთა, წყალჩი და ზღვაჩი, მთაჩი და ბარჩი, შენ მოანიჭე მაგასა სიმარდე ფოცხვერისა, ლომგულოვნობა ნადირთა მეფისა“.

ესა სთქვა, უფლისა არაბულმა ახალოხის უბეში ხელი ჩაიყო, რაღაცა ამოიღო ჭინჭში გახვეული, ეკატერინეს გადაუწია და ეუბნება:

„ეს მგლის კბილებია და არწივის პწკლებია. აკვანზე ჩამაუკიდე ბატარია ბალღსა, გაიზარდოს, გახადოს უფალმა ქომაგი გლეხკაცისა, ჩუენითანა გაჭირვებულის მოჯამაგირისა, სუყველა იმათი, ვინც ჩუენსავით ცრემლნარევი ოფლით სჭამდეს პურსა, ვის ნაშრომსაც სხვები იტაცებენ.

„ღმერთო დიდებულო და დიდად სახსენებო, შენ გაუმარჯვე ჯუღაანთ იოსებასა,—ეს სიტყვა ღიმილით წარმოსთქვა მეცხვარემ და როცა ბალღის მამა კმაყოფილი ღიმილით შეეგება მის სიტყვებს, დასძინა: არწივის სილაღე მიე და მუხლი მგლისა.

დეე მთელმა ქვეყანამ შაიყვაროს, გულის პირჩი ჩაიხვიოს იგი, როგორც მაგან ჩუენგან ნაჩუქვარი ციკანი ჩაიხვია გულჩი წელა“.

სტუმრები უკვე კარგად შეზარხოშებულნი იყვნენ, ეკატერინეს ეზოში გამოეყვანა ბალღი. ტაატით მოყავდა ფეხშიშველა.

ჰყიოდა, როკავდა ბავშვი, მტკიცედ აბჯენდა მიწაზე ფეხს და პაწია მჯიღებად შეკრული ხელები ისე მოჰქონდა, კრივში იწვევსო თითქოს ვიღაცას.

ალტყინებული უღიმოდა ჩვილი წითელი ნაყოფით დახუნძულ უნაბის ხეს და მის გადაღმა აზვინულ ცარცისფერ ღრუბლებს.

წამოდგა უფლისა, მისწვდა იქვე ამოსულ გვიმრას, მოსთხარა, აფრიალებდა ხელში, აქეზებდა ჩვილს, ბალღს მოეჩვენა რაღაც უცნაური ფრინველის ფრთა რიალებსო ჰაერში, წაეპოტინა გვიმრას და აიდგა ფეხი.

გაიხარა დედამ, როცა ბალღმა თავისთავად წარსდგა ორიოდე ნაბიჯი, წინ მოექცა, აკოცა ოდნავ შეფაკლულ ლოყაზე და ვიდრიმდის ნაკოცნის თეთრი ტალი გაჩინარდებოდა მის სალუქ ღაწვზე, ისევ ხელი შეუშვა და სტუმრების გასაგონად მიაძახა:

„ადგა ბიჭი, ხე წაიქცა“...

---

[1] ჩებიჩი — ფარის წინამძღოლი თხა, „დეკანოზი“.

გამარჯვებული სოციალიზმის მწერლობა

ამხ. ალიო მაშაშვილის მოხსენების დასასრული

ღრმა იდეით, თუ იგი სოციალურ პრობლემებს არ ეხმაურება, თუ იგი თავის ეპოქის მხატვრულ-უტილიტარულ დანიშნულებას არ ასრულებს, ასეთი ნაწარმოები რაგინდ ლამაზად და კარგად იყოს დაწერილი, აქტიური მწერლობის გარეშე რჩება. ნაწარმოების თითქმის ყოველ სტრიქონში, როგორც ელექტრონის მავთულში, უნდა იყოს გატარებული ცხოვრების აზრი და მაჯისცემა.

ამიტომ არის, რომ ზოგიერთი მწერლები, ვეხებოდი რა მწერლობას სოციალური თემატიკის მიხედვით, ბუნებრივად ვერ მოხვდნენ ჩემი მოხსენების ფარგლებში.

საბჭოთა მწერლობას შექმნილი აქვს ყოველგვარი პირობა შემდგომ განვითარებისთვის. ამხანაგ **სტალინის** თქმა მწერლობაზე, რომ ისინი „ადამიანის სულის ინჟინრებია“, მორალურ სიამაყის გრძნობას ქმნის მწერლებში. ქართველი ხალხის საყვარელი შვილი **ლავრენტი პავლეს-ძე ბერია** ყოველთვის მზრუნველობით ექცეოდა და ექცევა საბჭოთა მწერლებს. ყოველ სიტყვაში თუ მოხსენებაში იდეოლოგიური საკითხის გარჩევის დროს, მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა მწერლებს, რითაც ხელს უწყობდა მათს შემოქმედებითს განვითარებას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს საბჭოთა მთავრობა ღირსეულად განაგრძობს ამხანაგ **ბერიას** ამ ტრადიციას მწერლობის მიმართ.

მხოლოდ საჭიროა უფრო მეტი მუშაობა თავისთავზე, უფრო ახლოს მისვლა სოციალიზმის ეპოქასთან, ხალხთან, წარმოებასთან, სოციალისტურ მეურნეობასთან, რომ შეიქმნას უფრო უკეთესი, უფრო დიდი, მაღალ მხატვრული ქმნილებანი გამომსახველნი მშობლიური **სტალინის** დიადი ეპოქისა.

რაც შეეხება ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, ისინი ვერ მუშაობენ დამაკმაყოფილებლად. როგორც ჟურნალ „მნათობში“, ისე „ჩვენ თაობაში“ და გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ ხშირად იბეჭდება მოუმწიფებელი, უვარგისი ნაწარმოები. ამის მიზეზი ის არის, რომ რედაქციის მუშაობა არ არის აგებული კოლეგიურ პრინციპზე. აქ ნაწარმოების მხატვრულ ღირსებას საზღვრავს მარტო რედაქტორი. საჭიროა ჟურნალ-გაზეთებში ჩამოყალიბდეს მტკიცე სარედაქციო კოლეგიები, რომლებმაც, მასალების გარჩევის გარდა, უნდა აწარმოონ ავტორებისადმი რჩევა-დარიგება და კონსულტაცია. ყველაზე უფრო ეს დასჭირდება ჟურნალ „ჩვენ თაობას“, სადაც თავს იყრიან ჩვენი მწერლების ახალი კადრები; რედაქცია დროზე და ამავე დროს დამაჯერებელ, ამომწურავ პასუხს უნდა იძლეოდეს ამათუიმ ავტორის დაწუნებულ ან დასაბეჭდ მასალაზე. თორემ, არის შემთხვევა, როდესაც ამათუიმ ავტორის მასალა ძევს რედაქციის უჯრაში და გასაქანი არ ეძლევა. ეს კი სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს ავტორებში. სარედაქციო კოლეგია, რასაკვირველია, უნდა შედგეს რედაქციაშივე მომუშავე საქმიან მუშაკებისაგან და არა დაუსწრებელ „ავტორიტეტულ პირებისაგან“. გარდა ამისა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა, განსაკუთრებით „ლიტ. საქართველომ“ უნდა გააფართოვოს ჩვენი მწერლობის კრიტიკის ფრონტი.

დამაკმაყოფილებლად მუშაობს „ფედერაციას“ გამომცემლობა. ამ ბოლო დროს მან თავი ისახელა მრავალი, მაღალ-ხარისხოვანი, კარგად-გაფორმებული წიგნების გამოცემით. მუშაობის უკეთესად წარმართვის მიზნით აქაც საჭიროა შეიქმნას საგამომცემლო სარედაქციო კოლეგია გამოცდილ მწერლებისაგან და რედაქტორებისაგან, რომლებიც უხელმძღვანელებენ საგამომცემლო გეგმაში შესატან ნაწარმოებთა დახარისხების საქმეს.

მწერალთა კავშირმა აგრეთვე მეტი დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მასში შემავალ ქუთაისის, აჭარის, სამხრეთ-ოსეთისა და აფხაზეთის მწერალთა განყოფილებებს და სომხურ სექციას — მათთან მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობის გაძლიერების გზით.

ამ წელს მწერალთა კავშირი ღირსეულად შეხვდა ჩვენი მოძმე რესპუბლიკების მწერალთა იუბილეებს. ამ წელსვე მწერალთა კავშირს მოუხდება მეტად დიდმნიშვნელოვანი თარიღის აღნიშვნა. დეკემბერში სრულდება 60 წელი ჩვენი ბელადის ამხანაგი **სტალინის** დაბადებიდან. მწერალთა კავშირის მთელი აქტივი ჩაბმულია ამ მუშაობაში. განზრახულია გამოიცეს დიდი **სტალინისადმი** მიძღვნილი მხატვრული კრებული „გორი“. იმედია ქართული მწერლობა ღირსეულად მოიხდის თავის მოვალეობას.

1940 წელს ივნისში სრულდება ასი წელი ქართველი კლასიკოსის აკაკი წერეთლის დაბადებიდან. ჩვენი პარტია და ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას აძლევენ ამ იუბილეს. ჩამოყალიბდა რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტი, რომელიც შეუდგა მუშაობას. ქართული მწერლობა და მწერალთა კავშირის ორგანიზაცია ერთსულოვნად უნდა ჩაებას ამ მეტად საპატიო მუშაობაში.

მწერალთა კავშირის ახალმა გამგეობამ და პრეზიდიუმმა კოლეგიალურ-დემოკრატიულ მუშაობის პრინციპზე ისე უნდა გარდაქმნას და გააუმჯობესოს თავისი მუშაობა, რომ იგი, როგორც ორგანიზაცია, შემდეგშიც ღირსეულად გამოხატავდეს ქართული საბჭოთა მწერლობის იდეურ-პოლიტიკურ სახეს.

საბჭოთა ხალხის დღესასწაული

საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი ერევანში

(ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

სომხეთის ხალხის ათასწლოვანი ეპოსის „დავით სასუნცის“ საიუბილეო დღეები თავად გადაიქცა დიდ ეპოპეად, რომელმაც, გაცდა რა ლიტერატურული თარიღის ფარგლებს, გამოხატა საბჭოთა სინამდვილის სიდიადე.

მოძმე სომხეთის ამ კულტურული ზეიმის მომზადებასა და გადახდაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხმა, ხოლო თვით სომხეთის მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ ამ ზეიმის ჩინებულად მოწყობით ერთხელ კიდევ გვიჩვენეს ბრწყინვალე ორგანიზატორული უნარი.

დურგალს და კალატოზს, არქიტექტორს და მოქანდაკეს, ისტორიკოსს და არქეოლოგს, მხატვარს და ლიტერატორს — ყოველ მათგანს მოუხმია თავისი შესაძლებლობისათვის გამომგონებლობისა და გონებამახვილობისათვის, რომ „დავით სასუნცის“ ათასი წლისთავი გამხდარიყო სომხეთის ხალხის სოციალისტურ გამარჯვებათა და მისი დიდი კულტურული მემკვიდრეობის დემონსტრაციად. ამ მონდომების და გულმოდგინების ნაყოფი გახლდათ ის, რომ საიუბილეო დღეებში ერევანი წარმოადგენდა მაღალმხატვრულ სანახაობას. ქალაქის ყოველი კუთხე, ყოველი უბანი საზეიმოდ იყო მორთულ-მოკაზმული.

მხატვრულად გაფორმებული ქალაქის ყოველი დეტალი ემსახურებოდა ერთს ძირითად იდეას — ეჩვენებია კავშირი ხალხის გმირულ წარსულსა და მისსავე გმირულ დღევანდელობას შორის.

ქალაქის ამ წარმტაც ფონზე გაიშალა გრანდიოზული სახალხო ზეიმი. იგი დაიწყო 14 სექტემბერს, რკინიგზის სადგურის მოედანზე: მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსულ მწერლებს ეგებება ზღვა ხალხი, დროშებით და უამრავი თაიგულებით. სტუმრებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართავენ სომხეთის მწერალთა კავშირის მდივანი ამხ. რ. გრიგორიანი და ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. კარაპეტიანი. შემდეგ ხალხი დაძაბული ყურადღებით უსმენს ამხ. ა. ფადეევის საპასუხო სიტყვას.

— ჩვენ ჩამოვედით აქ, — ამბობს ამხ. ფადეევი, — იმისათვის, რომ აღვნიშნოთ სომეხი ხალხის გენიალური ქმნილების — დიადი გმირული ეპოსის „დავით სასუნცის“ ათასი წლისთავი. მისი წარმტაცი, მგზნებარე, ღრმად ადამიანური პოეზია უკვე შევიდა სოციალისტური კულტურისა და ჩვენი საერთო ძმური მემკვიდრეობის ოქროს ფონდში. ეს შესანიშნავი ნაწარმოები გახდა ცნობილი, ძვირფასი და საყვარელი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის. ჩვენ ვამაყობთ სომეხი ხალხის გმირული წარსულით, ჩვენ ვამაყობთ მისი შესანიშნავი სოციალისტური მიღწევებით. ჩვენ გვწამს მისი კიდევ უფრო დიდებული მომავალი; ჩვენ გვიყვარს მისი ველები, მისი მშენებლობანი, მისი სტახანოველები, ახალგაზრდობა, მისი ხელოვნება, გვიყვარს ეს კრიალა ცა, ეს მცხუნვარე ცხოველმყოფელი მზე, რომელიც გვინათებს ყველას — საბჭოთა კავშირის ყველა ხალხებს, სოციალისტური თავისუფლების მზე, მზე **ლენინისა და სტალინისა**.

ამხ. ფადეევის სიტყვით აღგზნებული ხალხი დიდხანს არ სცხრება, გაისმის დაუსრულებელი ტაში და შეძახილები **ლენინ-სტალინის** პარტიის, დიდი **სტალინის** პატივსაცემად, ამავე მიტინგზე სომხეთის ხალხის სოციალისტური შემოქმედებისა და მისი დიდი წარსული კულტურისადმი ღრმა პატივისცემით და სიყვარულით გამსჭვალული სიტყვები წარმოსთქვეს სანდრო ეულმა, უკრაინელმა პოეტმა პერვომაისკიმ, და ბურიატ-მონგოლელმა მწერალმა გალსანოვმა.

ეს მიტინგი იყო შესავალი იმ საზეიმო სხდომისა, რომელიც გაიმართა სუნდუკიანცის სახელობის თეატრში და რომელიც გადაიქცა საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიანობის, ხალხთა სტალინური მეგობრობის დემონსტრაციად. ამ სხდომაზე სომხეთის ხალხისადმი, მისი კულტურის დღესასწაულის გამო, მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ მოძმე ხალხების წარმომადგენლები.

16 სექტემბერს მუშაობა დაიწყო სსრკ-ის მწ. კავშირის გამგეობის საიუბილეო პლენუმმა. ოთხ სალამოს პლენუმის წევრებით და სტუმრებით გაჭედილი დარბაზი შეუნელებელი ინტერესით ისმენდა პროფ. გ. აბოვის, ვ. კირპოტინის, აკად. პ. ტიჩინას, პ. ინგოროყვას, სამედ ვურგუნის, დ. დემირჩიანის, აკად. ი. ორბელის ღრმად მოფიქრებულს და საფუძვლიანად დამუშავებულ მოხსენებებს. მომხსენებლებმა მშვენივრად ახსნეს, თუ რატომ გადაიქცა ათასწლოვანი ეპოსის იუბილე ჩვენი დროის, საბჭოთა დღევანდელობის აქტუალურ მოვლენად. ეს მოხდა იმიტომ, რომ „დავით სასუნცი“ გამოხატავს სომეხი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას, რომ ამ ეპოსის გმირებში უდიდესი სიძლიერით განსახიერებულია ხალხის მაღალი მორალური თვისებები, განუსაზღვრელი სიყვარული და თავდადება სამშობლოსათვის, ვაჟკაცობა და სიმამაცე, შეუპოვრობა და ქედმოუხრელობა მტრის წინაშე, ძმური, ჰუმანიური დამოკიდებულება ყველა ხალხის მშრომელებისადმი.

პლენუმზე წაკითხულმა მოხსენებებმა ღრმად და ვრცლად გააშუქეს არა მარტო სომხური ხალხური ეპოსის, არამედ სომხური ლიტერატურის და კულტურის ისტორიის საკითხები, სხვა ხალხების ისტორიასა და კულტურასთან ურთიერთობის პრობლემები.

პლენუმმა ღრმად ჩაახედა ყოველი ჩვენთაგანი სომხეთის კულტურის საგანძურში.

მაგრამ იუბილეს ორგანიზატორებს გათვალისწინებიათ სხვა ღონისძიებებიც, რომ მიეცათ სტუმრებისათვის უფრო ფართო და საფუძვლიანი წარმოდგენა ისტორიულ და თანამედროვე სომხეთზე. სწორედ ამ მიზანს ისახავდა ის ექსკურსიები, რომელნიც თითქმის ყოველდღე ეწყობოდა ისტორიული ადგილებისა, ძეგლების და კოლმეურნეობების დასათვალიერებლად.

რასაკვირველია, მოძმე რესპუბლიკების მწერლებისთვის, იუბილეზე მოწვეულ სტუმრებისათვის ახალი ამბავი არ იყო ის, რომ საბჭოთა სომხეთი უძველესი და უმდიდრესი კულტურის მემკვიდრეა. მაგრამ, როცა მათ დაათვალიერეს ისტორიული მუზეუმი, ნახეს იშვიათი მანუსკრიპტების ფონდი, როცა მათ ინახულეს გარნის, გეჰარდის, ზვარტნოცის, რიფსიმეს და ეჩმიაძინის ხუროთმოძღვრების ძეგლები, ნახეს სომხეთის ახლად გათხრილი უძველესი დედა-ქალაქი დვინი, — ყოველივე ამის შემდეგ უფრო გასაგები გახდა ის, რაც მოსმენილ იქნა პლენუმზე, უფრო გასაგები გახდა, თუ რატომ იცავდნენ ესოდენი შეუპოვრობით და თავგანწირულებით სომეხი ხალხი და მისი სასუნელი გმირები თავიანთ ქვეყნის დამოუკიდებლობას.

ჩვენ წილად გვხვდა უდიდესი სიამოვნება ვსტუმრებოდით კამარლიუს, ოქტომბრიანის, ვაღარშაპატის და აშტარაკის ზოგიერთ კოლმეურნეობებს, დაგვევლო მათი ზვრები, ბამბის პლანტაციები, ბაღები, გვენახა ხორბლით სავსე ბეღლები, მარნები, მიგვეღო მათი პურ-მარილი, მოვხიბლულიყავით მათი გულუხვი სტუმართმოყვარეობით, მოგვესმინა მათი სიმღერა, მათი ლხინი, გართობა.

პლენუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა ფადეევის ცნობა ამხანაგ **მოლოტოვის** სიტყვის გამო. ამხ. ფადეევმა წაიკითხა ამხანაგ **მოლოტოვის** მიერ 1939 წლის 17 სექტემბერს რადიოთი წარმოთქმული სიტყვის ტექსტი. მთელი დარბაზი აღფრთოვანებული შეძახილებით ხვდებოდა საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელის, დიდი **სტალინის** ერთგული თანამებრძოლის ამხანაგ **მოლოტოვის** თვითეულ ფრაზას. როდესაც ფადეევი კითხულობდა იმის შესახებ, რომ მთავრობამ უკვე განკარგულება გასცა წითელი ჯარის მიმართ დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის ხალხთათვის დახმარების შესახებ, მთელი დარბაზი ფეხზე ადგა. შეძახილებმა — „გაუმარჯოს დიდ **სტალინს**“, „გაუმარჯოს ძლევამოსილ წითელ არმიას“ შეაწყვეტინა სიტყვა ამხანაგ ფადეევს.

ცნობის მოსმენის შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები, მათ აღნიშნეს რომ საბჭოთა ხალხი მზად არის წითელ არმიასთან ერთად ძმური დახმარება გაუწიოს ბელორუსიისა და უკრაინის მშრომელ მოძმეებს, რომლებიც პოლონელი პანების უღელ ქვეშ გმინავენ.

მგზნებარე სიტყვით გამოვიდა ორდენოსანი მწერალი მიკოლა ბაჟანი. მან აღნიშნა საბჭოთა მთავრობის კეთილშობილი ნაბიჯი მოძმე უკრაინელებისა და ბელორუსელების განთავისუფლებისათვის. ამხანაგ ბაჟანმა თავისი სიტყვა დაამთავრა შეძახილით: — დღეს წითელი არმია გადადის შეტევაზე იმისათვის, რომ ასახელოს თავისი სამშობლო, თავისი ბელადი **სტალინი** და მოუპოვოს ბედნიერი ცხოვრება დასავლეთ უკრაინის და დასავლეთ ბელორუსიის ხალხებს, რომელნიც პოლონეთში ცხოვრობენ, დაიცვას მათი ქონება და მათი სიცოცხლე იმ განსაცდელისაგან, რომელშიაც ეს ხალხი ჩააგდო უგუნურმა მთავრობამ. „ხაი ჟივე ველიკი რიდნი **სტალინ**!“ — დაამთავრა თავისი სიტყვა ამხ. ბაჟანმა.

მგზნებარე სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ბელორუსიის მწერალი იანკა კუპალა. მან განაცხადა, რომ ბელორუსიის მწერლები და ბელორუსიის ხალხი მზად არიან საბჭოთა მთავრობასთან ერთად ძმური დახმარება გაუწიონ თავის სისხლ-ხორცეულ მოძმეებს.

პლენუმმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც მიესალმა მთავრობის ღონისძიებებს და მოუწოდა მწერლებს მტკიცედ შეასრულონ ის ამოცანები, რომლებსაც პარტია და ხელისუფლება უყენებენ მწერლებს.

დიდ საზეიმო ვითარებაში დასრულდა მთელი საბჭოთა ხალხების შესანიშნავი კულტურული დღესასწაული, რომელმაც კიდევ ერთხელ ნათელჰყო, რომ მხოლოდ საბჭოთა ხალხია ერთადერთი მემკვიდრე იმ უზარმაზარი კულტურული საგანძურისა, რომელიც დაგვიტოვა წარსულმა საუკუნეებმა.

მწერალთა მზადება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოების არჩევნებთან დაკავშირებით, ამ დღეებში მწერალთა კლუბში შესდგა მწერლებისა და ლიტერატურული ორგანიზაციების თანამშრომელთა საერთო კრება.

საარჩევნო სამზადისის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. შალვა რადიანი.

—მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები — უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიაა,—სთქვა მომხსენებელმა. ამ არჩევნებმა ერთხელ კიდევ უნდა ცხადყოს მთელი მსოფლიოსათვის საბჭოთა ხალხის პოლიტიკურ-მორალური სიმტკიცე. ამ არჩევნებით მთავრდება საბჭოთა ხელისუფლების ძირეულ ორგანოების გარდაქმნა სტალინური კონსტიტუციის საფუძველზე. არჩეულ უნდა იქნან ორგანოები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან მასებთან და რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ ქალაქების და სოფლების სამეურნეო-კულტურულ მშენებლობას, მშრომელი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საქმეს. ყოველი ორგანიზაციის მოვალეობაა — ამ ახალ საარჩევნო კამპანიაში აქტიური მონაწილეობა მიაღებინოს, რაც შეიძლება, მეტ მოქალაქეს, რადგან წინა არჩევნებთან შედარებით რამდენიმე ასეულჯერ გადიდებული საარჩევნო ოლქები, უბნები, საარჩევნო კომისიები მოითხოვს დიდძალ პოლიტიკურ და კულტურულად მომზადებულ მუშაკებს. ისევე, როგორც წინა არჩევნებში, ახალ საარჩევნო კამპანიაში ამ თავითვე უნდა ჩაებას მწერალთა მთელი აქტივი. მწერალთა კავშირმა ამ თავითვე საქმიანი ურთიერთობა უნდა დაამყაროს საბჭოებთან და პარტიულ ორგანიზაციებთან და მათთან შეთანხმებით თავის წრიდან გამოჰყოს შესაფერი ძალები საარჩევნო პროპაგანდა - აგიტაციისათვის, საარჩევნო კომისიებისათვის და სხვა ორგანიზაციულ საქმეებისათვის, ამ ახალ არჩევნებში თავისი აქტივობის გამოჩენით მწერლობამ კიდევ ერთხელ უნდა გვიჩვენოს თავისი ერთგულება **ლენინ-სტალინის** პარტიისადმი, თავისი პოლიტიკურ-იდეური განუყრელობა საბჭოთა ხალხთან.

ამავე კრებას მოკლე საანგარიშო მოხსენებით წარუდგენ მე-9 მოწვევის თბილისის საბჭოს დეპუტატები—ბესო ჟღენტი და ალ. გომიაშვილი. გაუკეთეს რა მიმოხილვა თბილისის საბჭოს ოთხი წლის უაღრესად ნაყოფიერ საქმიანობას, დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ საქართველოს დედაქალაქის სანიმუშო სოციალისტურ ქალაქად გარდაქმნა, რომელიც ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხ. **ლავრენტი ბერიას** უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, იყო იმის შედეგიც, რომ მე-9 მოწვევის თბილისის საბჭო გახდა უფრო ოპერატიული, უფრო საქმიანი ორგანო, რომ შესამჩნევად გაიზარდა და გაუმჯობესდა დეპუტატების მონაწილეობა საბჭოსა და მისი სექციების მუშაობაში. დასასრულ ამხ. ბესო ჟღენტმა და ალ. გომიაშვილმა კრებას გააცნეს, თუ რა პრაქტიკულ მუშაობას ეწეოდნენ თვითონ ისინი, პირველი, როგორც კულტურული სექციის, ხოლო მეორე, როგორც თავდაცვითი სექციის წევრი.

დასასრულ საარჩევნო სამზადისის საკითხებზე ილაპარაკეს ამხ. სანდრო ეულმა და ილო მოსაშვილმა, რომლებმაც მოითხოვეს, რომ მწერალთა კავშირმა, რაც შეიძლება, მალე გამოიმუშაოს პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებმაც უნდა უზრუნველჰყონ მწერალთა მთელი აქტივის ორგანიზებული მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში.

გორის ლიტერატურული წარსულიდან

აკაკი წერეთლის ლიტერატურული გამოსვლები გორში

მეცხრამეტე საუკუნის არცერთ ქართველ მწერალს იმდენი არ უმოგზაურია საქართველოს დაბა-ქალაქებსა და სოფლებში, რამდენიც აკაკი წერეთელს. აკაკის მთელი გატაცებით, თავისი სულის ულრმესი სიძლიერით უყვარდა საქართველო, უყვარდა საქართველოს მშრომელი ხალხი. სწორედ ასეთი ულრმესი სიყვარულითა და სინაზით უცქეროდა იგი ქართლსა, და უმთავრესად კი—ქალაქ გორს.

თავისი სიყვარული გორისადმი აკაკიმ მშვენიერი ლექსით გამოთქვა:

„გორო, ქართლის შუაგულო,
მეთაურო ქართლისაო,
ადრე ღირსად წამებულო,
დღესაც მთქმელო მართლისაო.

ძირს გორისჯვარი დაგყურებს,
მაღლით თვალი უფლისაო,
ერთგულო და საიმედო.
წილ-მხედრის ღვთისმშობლისაო!

ძველად მისთვის სისხლისმღვრელო,
დღეს ცრემლის და ოფლისაო;
ტყვის დამხსნელად მონამზადო,
საიმედოვ ობლისაო!

გამხნევდი, გაგვილომგულდი,
მუხლი მოიბი მგლისაო,
გაჰკაფე, გადაიარე
გრძელი გზა მომავლისაო.

დასთესე თესლი კეთილი,
შესარგო მამულისაო.
და ნახავ ნამგლის ტრიალსა
„ოპუნით“ მომკელისაო“.

შეიძლება გიყვარდეს, მაგრამ არ უყვარდე. აკაკი ბედნიერი იყო ამ მხრით. იგი ყველას უზომოდ უყვარდა.

იაკობ გოგებაშვილისადმი გაგზავნილ ბარათში ნიკო ლომოური სწერდა: „იაკობ, ამ ზაფხულს ხომ მანდ არ დარჩებით და მოდი რამდენსამე დღით ამოგვისეირნე გორელებს. შენა და ილია როგორღაც მძიმე კაცები ხართ: პროვინციას არ ეწვევით ხოლმე… აკაკი ამ მხრივ დიდი მადლობის ღირსია ჩვენგან. მოვა ხოლმე, გაგვაცოცხლებს თავის სასიამოვნო ბაასით და წავა. გულს ჟანგი ეცლება და სული ძალღონეს მატულობს, როდესაც ხედავ შენზე მაღლა მდგომარე, საქართველოსათვის გულშემატკივარ ადამიანს“.

აკაკის გამოჩენა გორში გაუთავებელ ტრიუმფად იქცეოდა ხოლმე. სოფრონ მგალობლიშვილი გვიამბობს:

„… აკაკის მოსვლა გორში და ქართლად სწორედ დღეობა იყო: გარს ერტყმოდა ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა სასტატო სემინარიისა, ქართული ოჯახები. დიდ გავლენას ახდენდა აკაკი მოსწავლე ახალგაზრდობაზე — მომავალ მასწავლებლებზე ჩვენი ხალხისა. იგინი პირადად ისმენდნენ აკაკის ტკბილ, მოსწრებულს ნალაპარაკევსა, მის ხელდახელს, მომენტის მიხედვით წარმოთქმულს ლექსებსა.

ინტელიგენციის გარეშე მისი მუდამი მსმენელები იყვნენ გორის სასტატო სემინარიის მოწაფენი: ლუკა რაზიკაშვილი—დიდებული ვაჟა-ფშაველა. ნიკო რაზიკაშვილი — ბაჩანა, სანდრო ნათაძე — უებრო მასწავლებელი და მწერალი, თეოფილე ხუსკივაძე — ბელეტრისტი, ალექსანდრე ციმაკურიძე (ფსევდონიმით „რა“ მთარგმნელი ჰეინეს ლექსებისა), ნიკო ლეონიძე და სხვა“.

ნადიმებს, ლხინებს, მუნასიბად ლექსების თქმას ბოლო არ უჩანდა. აკაკის გორელი მეგობარი იგონებს:

„ნადიმი ნადიმზე იყო გადაბმული. ნადიმის თაიგული იყო აკაკი. ნადიმზე გაუთავებელი ნაკვესების სროლა იყო. აკაკი ექსპრომტს — ექსპრომტზე ამბობდა. სანადიმო სიტყვებს ხომ დასასრული არ ჰქონდა. აკაკი თანამედროვე ცხოვრების რომელიმე მოვლენას შეურჩევდა ისტორიულ ამბებს. ერთხელ ჩვენს დედებს შეხო და მოიყვანა ცოტნე დადიანისა და მისი მეუღლის თავგანწირვა მამულისა და თავისი სატრფოს დახსნისათვის. სუფრაზე დუმილი ჩამოვარდა და ყველას სევდის ცრემლი ჩამოეკიდა წამწამებზე. შემდეგ ეს ამბავი ლამაზ პოემად გარდაქმნა და უწოდა „ნათელა“.

აკაკის გორში ჩამოსვლისთანავე ეწყობოდა ლიტერატურული სალამოები, რომლებშიც თვითონ აკაკიც მონაწილეობდა. იმ დროების მომსწრე მოგვითხრობს: „ნადიმების გარდა ვმართავდით მისი თანდასწრებით ლიტერატურულ სალამოებს. ხალხის ტევა არ იყო ხოლმე, აკაკის სცენაზე გამოსვლა და ოვაცია ერთი იყო, დაუსრულებელი ვაშა, ტაში, აღფრთოვანება!“

აკაკი წერეთელმა თავისი ლექციები „ვეფხის ტყაოსანზე“ თავდაპირველად გორში წაიკითხა. საერთოდ აკაკი ყოფილა ჩვენში დამწყები საჯარო ლექციების კითხვისა.

სოფრონ მგალობლიშვილი თავის მოგონებებში ამის გამო სწერს:

„ჩვენში, რამდენადაც მახსოვს, საჯაროდ ლექციას არავინ კითხულობდა რომელიმე თვალსაჩინო მოვლენაზე, რომელიმე ლიტერატურულ განძის განსახილველად, იყო მხოლოდ ლიტერატურული სალამოები, სადაც ჩვენი პოეტები კითხულობდნენ თავის ლექსებსა, ან რომელიმე დეკლამატორი ენაწყლიანად წარმოსთქვამდა ჩვენი პოეტების ნაწარმოებთა. პირველი პიონერი ლექტორობისა იყო აკაკი, რომელმაც დაიწყო შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანზე“ ლექციების წაკითხვა“.

ეს ლექციები აკაკიმ ნიკო დიასამიძის თხოვნით წაიკითხა. ამ უკანასკნელს, ამ საქმის მოგვარება მიანდო გორის ახალგაზრდობამ.

დანიშნულ დღეს უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი გორის კლუბის შესავალთან, მაგრამ ლექციის დანიშნულ ვადაზე დაწყება იმ საღამოს მომხდარ ინციდენტის გამო შეფერხდა.

ბელეტრისტი სოფრონ მგალობლიშვილი ამ ინციდენტის შესახებ თავის მოგონებებში სწერს:

„…მოვაწყვეთ გორის კლუბის დიდი დარბაზი, დაიდგა პატარა სცენა. მაშინ კლუბის მამასახლისად მე და დიასამიძე ვიყავით. დღე დანიშნულია, კლუბის მსახურთ დავალებული ჰქონდათ მოეწყოთ ყველაფერი სალამოსათვის. მივედით, რა ვნახეთ ხელი არავის გაუნძრევია.

— რაშია საქმე? — ვეკითხები კლუბის ოფიციანტებს.

მამასახლისმა სემენოვმა აგვიკრძალა, არ შეიძლება ლექციის წაკითხვაო, კლუბის ხალხი სადღა წავიდესო,—გვიპასუხა მსახურმა.

სემენოვი იყო მაშინ სასტატო სემინარიის დირექტორად. დიასამიძე ბუნებით ერთობ ჩქარი იყო, აენთო სიბრაზით, გაცეცხლდა.

— კბილით დავგლეჯ, თავს მოვჰრი, თუ ეს მართალი გამოდგაო —ყვიროდა იგი. მე, რაც შემეძლო ვამშვიდებდი. სემენოვი დარბაისელი კაცი იყო და მე იქვე შევიტანე, აქ რაღაც სხვა ხრიკი უნდა იყოს მეთქი, ვფიქრობდი. მეორედ, ეს იმ ღამეს, როცა ლექცია უნდა წაეკითხა აკაკის, მორიგ მამასახლისად იყო ექიმი ტერ-მინასოვი. ჩემი მოსაზრება მართალი გამოდგა, სემენოვმა რა ნახა აღელვებული დიასამიძე, გაოცებით ჩაეკითხა:

— რა მოხდა, ნიკოლოზ დავითიჩ! [illegible]

— თქვენ მოგიხსნიათ დღეს აკაკის ლექცია. მაკვირვებს თქვენი საქციელი.

სემენოვმა პირჯვარი გადაიწერა, დიასამიძეს მხარზე ხელი დაადო და წყნარად უთხრა:

— მე თუმცა ქართული არ ვიცი, მაგრამ მაინც დავესწრები, აი ბილეთი, მე არავითარი განკარგულება არ მიმიცია, ვერც მივცემდი, ვინაიდან მე დღეს მორიგი მამასახლისი არა ვარო. აქ რაღაც ხრიკია ვისიმე, როგორ შეიძლება გადადება, უბრძანეთ დაამზადონ ყოველისფერიო.

აღმოჩნდა, რომ მამასახლისს ტერ-მინასოვს სემენოვის სახელით ებრძანებინა ოფიციანტებისათვის ლექციის მოხსნა. დიასამიძე ველარ შევიმაგრეთ, ტერ-მინასოვი თოჯა კაცი იყო; დაავლო ხელი დიასამიძემ, მაღლიდან ქუჩაში უნდოდა გადაგდება, მაგრამ დავიხსენით, მისი ძმა წამოეშველა, ორთავენი გატყიპა, დაასისხლიანა და პანღურით გამოუძახა კლუბიდან“.

ლექცია მაინც შესდგა. მოხსენებას დიდძალი ხალხი დაესწრო. შთაბეჭდილება იყო აუწერელი. ლექციის შემდეგ გაიმართა ნადიმი. ნადიმზე აკაკიმ იოხუნჯა: „რუსთაველის ტარიელმა, ლომისაგან გაჯავრებულმა, ლომი მიწას დაანარცხა და მოკლა, ვით აკადრე სატრფოს— ვეფხს წყენაო, მაგრამ მერე ვეფხსაც ლომის საქმე დამართაო და ორთავეს სიცოცხლე მოუსპოვო. ნიკომაც პატარა ტარიელობა გამოიჩინა დღეს: ლომ-ვეფხის ნაცვლად კატები ააჩხავლაო“.

1881 წლის 16 თებერვალს გორის სცენისმოყვარეთა დასმა წარმოადგინა აკაკის დრამა „კუდურ-ხანუმი“ ამ დადგმის სანახავად აკაკი სპეციალურად ჩამოვიდა გორში.

ხანდახან აკაკი თვითონ ხელმძღვანელობდა გორში თავის პიესების დადგმას. სოფრონ მგალობლიშვილი გადმოგვცემს:

„…აკაკი მოვიდა გორს თავისი პიესის „თამარ ცბიერის“ დასადგმელად. თან მოჰყვნენ ვლ. ალექსი-მესხიშვილი, რომელიც საუცხოვოდ თამაშობდა „თამარ ცბიერში“ გოჩას როლსა და სოსიკო მერკვილაძე. ჩამოხტნენ ჩემსას, დაიწყეს მზადება „თამარ ცბიერისა“, წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო, მესხიშვილის თამაშმა აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება, ასე რომ მთელი წარმოდგენა გაბმული ოვაცია იყო აკაკისა და მესხიშვილისა“.

გორის გარდა აკაკი ქართლის დაბა-სოფლებშიც დადიოდა ხოლმე, მაგრამ უფრო ხშირი სტუმარი იყო იგი თამარაშენში ივანე მაჩაბლის ოჯახისა, ბრილში—ნიკო დიასამიძისა და ტყვიავში—იასე ფაღლენიშვილის სტუმართმოყვარე სახლისა.

ი. ბალახაშვილი

ახალი წიგნები

„კუხლია“

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა **ი. ტინიანოვის** ცნობილი რომანი „კუხლია“—მეორე გამოცემა, თარგმანი **ქეთევან ირემაძისა**.

„კუხლიას“ სცემს საბლიტგამი.

ავთანდილ თუმანოვი და მისი წიგნი „აღწერილობა საქართველოს ქალაქის გორისა“

გ. ბუხნიკაშვილი

ჯერჯერობით ამ წიგნის მხოლოდ ორი ეკზემპლარია ნაპოვნი: ერთი დაცულია ლენინგრადის, სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში და მეორე—მოსკოვის ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაში.

წიგნი დაწერილია რუსულ ენაზე. შეიცავს მცირე ფორმატის 34 გვერდს, დაბეჭდილია 1816 წელს, პეტერბურგში, იოანესოვის სტამბაში.

წიგნის ავტორი ავთანდილ თუმანოვი დაბადებულია სოფელ ხელთუბანში, შემდეგ გორში უცხოვრია და ბოლოს პეტერბურგში დავით ბატონიშვილის პირად მდივნად ყოფილა.

თუმანიშვილები წარსულში ქართლის ცნობილი თავადები იყვნენ და საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ ქართლის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ჯერ კიდევ მე-15 საუკუნის დასაწყისიდან თუმანიშვილები ცნობილნი არიან, როგორც ქართლის მეფის მდივან-მწიგნობარნი. ეს თანამდებობა მემკვიდრეობით გადადიოდა უფროსზე ოჯახში, დანარჩენებიც სახელმწიფო სამსახურში დგებოდნენ სხვადასხვა თანამდებობაზე.

მეფის მდივან-მწიგნობრობა არც ისე უბრალო თანამდებობა იყო. მდივან-მწიგნობარნი, იყვნენ რა მეფეებთან დაახლოვებულნი, საკმაო გავლენას ახდენდნენ სახელმწიფო საქმეებზე.

მაგრამ მარტო სახელმწიფო საქმიანობით არ განისაზღვრებოდა თუმანიშვილთა მოღვაწეობა. ისინი ცნობილნი იყვნენ ლიტერატურაში, თავისი ორიგინალური ნაწარმოებებითა და თარგმანებით. ამბობდნენ: „თუმანიშვილები კალმით არიან დაბადებულნიო“.

მრავალი თუმანიშვილთაგანი პოეტი იყო. აგრეთვე ლიტერატურულ ნაწარმოებთა გადამწერი და შემგროვებელი.

ავტორი წიგნისა „აღწერილობა საქართველოს ქალაქის გორისა“ ავთანდილ თუმანიშვილი დაიბადა 1795 წელს. მისი მამა ბირთველ თუმანიშვილი ქართლის სამეფოს არსებობისას მდივანი იყო. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ იგი მსახურობდა სასამართლოში, შემდეგ—ქალაქ გორის მოურავად. ავთანდილმა იმ დროისთვის კარგი განათლება მიიღო, სწავლობდა თბილისში, ახლად დაარსებულ სათავადაზნაურო სასწავლებელში. შეისწავლა რუსული ენა. ორიოდე წელი მსახურობდა გორში თარჯიმნად და 1814 წელს კი პეტერბურგში გაემგზავრა და ბატონიშვილ დავითის რეკომენდაციით სენატში კანცელარიის პატარა მოხელედ იქნა მიღებული. თვით დავითი და ბევრი სხვა ბატონიშვილი და წარჩინებული პეტერბურგში ძალით იქნენ გასახლებულნი საქართველოს სამეფოს გაუქმების შემდეგ. დავითი სენატორად მსახურობდა.

ავთანდილი ამავე დროს დავითის პირად მდივნად ითვლებოდა. ემიგრანტთა წრეში მან მწერლის სახელი დაიმსახურა. სწერდა სატირულ ლექსებს, სცენებს. გადმოთარგმნა რუსულიდან ერთ-ერთი ისტორიული შრომა და ბოლოს დასწერა რუსულად „აღწერილობა საქართველოს ქალაქის გორისა“.

ავთანდილი პასუხისგებაში იქნა მიცემული, როგორც სახელმწიფო დამნაშავე და 1820 წელს მას მიუსაჯეს თავადის უფლების აყრა და ჯარისკაცად გამწესება. მას შემდეგ მასი კვალი სრულიად დაიკარგა. არსებობს ვერსია, რომ ბობრუისკის ციხეში გარდაიცვალაო.

რას წარმოადგენს ავთანდილ თუმანოვის წიგნი ქალაქ გორის შესახებ?

წიგნში აღწერილია ქალაქი გორი მე-19 საუკუნის დასაწყისისა. დაწერილია მეტად მგრძნობიარე და იდილიური ტონით.

ავტორს ერთგვარი ტენდენცია აქვს თავის სამშობლო კუთხის შესახებ სთქვას მხოლოდ ის, რაც მის ქვეყანას დადებითად ახასიათებს. იგი პატრიოტია სამშობლო ქალაქისა, მაგრამ ამ პატრიოტიზმში აშკარად აჭარბებს. მაგალითად, წიგნში მოყვანილი აქვს ცნობა, რომ გორის ციხე თავისუფლად დაიტევს 50.000 მეომარს, რომ ციხეში, შიგნით, დროებით, შიშიანობის დროს საცხოვრებლად 410 სახლი იდგაო; ეს ციფრები, ცხადია, გაზვიადებულია.

მაგრამ ავტორს ეს გაზვიადება ეპატიება იმიტომ, რომ წიგნში მრავალი საინტერესო უტყუარი ცნობებია გორის მე-19 საუკუნის დასაწყისის პერიოდის ცხოვრების შესახებ.

თავისთავად წიგნი, როგორც ცალკე ისტორია ქალაქისა, მეტად იშვიათი მოვლენაა და მოწმობს იმას, რომ ქალაქ გორს დიდ მნიშვნელობას აკუთვნებენ, როგორც ქართლის სამეფოს არსებობის დროს, ისე შემდეგაც.

ფაქტია, რომ კავკასიის მთავარმართებელი ერმოლოვი თავის დროზე აპირებდა გორში გადაეტანა კავკასიის მმართველობის ცენტრი და გზა გაეყვანა გორიდან ჩრდილო-კავკასიაში როკის უღელტეხილით.

ავთანდილი შემდეგნაირად იწყებს ქალაქის აღწერას.*)

„ქალაქი ესე ძევს ძირსა მაღალი მთებისასა, მორთულთა ბუნებისაგან სასწაულებრივი ნაირსახეობით, რაც შვენებითა თავისისა აღიტაცებს გულსაც და გონებასაც. სასურველია, რათა ყალამმა ახალის რაფაელისამან, გამოხატოს ესე სამოთხისებური ადგილმდებარეობა. თვით სურათი ამეტყველდებოდა მაყურებელთა გრძნობათა შინა იმა ბუნების სიტურფეზე, ასე სთქვათ, გორთან რომ ზეიმობს“.

შემდეგ უხვი ქებით არის აწერილი გორის მიდამოების ბუნება, მოსავლის დოვლათიანობა, სანადირო ცხოველთა სიმრავლე.

„…მწვანე ბუჩქები იფარავენ თავიანთ წიაღში სხვადასხვანაირ ტკბილხმოვან და ლამაზი ფრთებით აღკაზმულ ფრინველთ, აუარებელ მწერთ, რასაც მცხოვრებნი უხვად იჭერენ. კურდღლები, მელიები და სხვა მხეცნი ხშირად ართობენ აქაურ მონადირეთ, გარნა ხანდახან ირემნიც. სტოვებენ რა თავიანთ ტყეების დაბურულობას, მოდიან აქ, მოხიბლულნი წყაროებისა და მწვანე ველის სიტურფითა და აქაურ მცხოვრებთა თვინიერებით ვინაიდან ისინი მფარველობენ მათ“.



ОПИСАНIЕ
ГРУЗИНСКАГО
ГОРОДА
ГОРИ.
ВЪ САНКТПЕТЕРБУРГѢ,
въ типографiи Iос. Iоанесова
1816 года.

ავტორი ძალიან აქებს გორის ღვინოს.

„აქ ღვინო მოდის უფრო უხვად, ვიდრე ქალაქის მიდამოების სხვა ადგილებში; იგი ფერით, სუნით, გემოთი და სიმაგრით არამც თუ კახურ ღვინოს არ ჩამოუვარდება, არამედ აღემატება კიდეც მას, ვინაიდან კახური ღვინით დამთვრალი ოდნავ თავის ტკივილსა გრძნობს, გარნა ამ ღვინოს — კი, პირიქით, გარდა სიმხიარულისა და ჯანსაღობის სხვა არა მოაქვს რა“…

ავტორს მოჰყავს მეშვიდე საუკუნის მოკლე ისტორიული ცნობა გორის ციხის შესახებ, როდესაც გორის ციხე დაიკავა ბიზანტიის იმპერატორმა ერეკლემ. თუმანოვი ციხის და ქალაქის დაარსებას იგივე ერეკლეს აკუთვნებს, რაც გვგონია სისწორეს არ შეიცავს. ციხე ერეკლემდე უნდა არსებულიყო, ქალაქი კი შედარებით გვიან გაშენდა. ციხის შესახებ ვახუშტი ღეოგრაფიული აღწერა საქართველოსა“-ში აღნიშნავს: „არამედ არ არს უწყებელ ვისით აშენდა პირველ: გარნა ცხორებასა წერილ არს: „ერეკლე კეისარმან უწოდა ტონთიო (რომელ არს ოქროს მთა) და ჰყო საფლველად საგანძურთა“.

ციხის ქართული სახელი „ტინთა“ (კლდოვანი მთა) უნდა ყოფილიყო, ბერძნულად „ტონთიოდ“ გადაკეთებული.

ავთანდილს ციხის შინაგანი აღწერილობა მოჰყავს და ეხება რა შემდეგ ქალაქის ისტორიას, აღნიშნავს:

„ქალაქი ესე, თუმცა მისი ძალით დაპყრობა შეუძლებელი იყო, დროთაგან მისი დაარსებისა, ქედს იხრიდა სხვადასხვა გარემოებათა წინაშე, რომელთაც გადააქციეს იგი სარბიელად და დავლად ბარბაროსებისა. იგი განუწყვეტლივ ხელიდან ხელში გადადიოდა და განიცდიდა საშინელ უბედურებათ: ერთნი სძარცვავდნენ, მეორენი აქცევდნენ, ხოლო ისინი, ვისაც უნდოდა დაეტოვებინა შთამომავლობათათვის სახელი და დიდება, ამაგრებდნენ მას, აახლებდნენ, აღაშენებდნენ და ამკვიდრებდნენ მას შინა მშვიდობასა და მყუდროებას. გარნა ამ ჟამთა სიავეთა შიგან მცხოვრებნი სრულიადაც არ იცვლიდნენ თავიანთ ზნეთა, ჩვეულებათა, ღვთის მსახურებასა, წესსა და რიგსა და სხვა მისთანათა, რაც ზნეობრივ ხასიათს მათსა შეადგენდა“.

ავთანდილი ძალიან აქებს ქალაქის შენობებს, ქუჩებს, მოედნებს. განსაკუთრებით აქებს ერთს ეკლესიას, ახალ ეკლესიად წოდებულს.

შემდეგ იგი აღნიშნავს მოქალაქეთა მაღალ ზნეობას, სათნოებას, გულუხვობას, რომ გორელები თბილისელებზე ქალებს არ ათხოვებდენ და არც თბილისელ ქალებს თხოულობდნენო. არ სთვლიდნენ მათ თავიანთ ნათესაობის ღირსად „მათი ხასიათის საწინააღმდეგო ზნე-ჩვეულების გამო“. გორის მოქალაქეთა ზნე-ჩვეულებათა ნაკლსაც აღნიშნავს:

„…გარნა ერთი რამ შეიძლება ჩაეთვალოთ მანკიერებად — ბევრი ლაპარაკი უყვართ, თუმცა ამ შემთხვევაშიაც უგუნურს არას იტყვიან, სახეზე ოდნავ ამპარტავნობის იერი სდევთ“….

შემდეგ აღწერს გორელთა გასართობებს: რბენას, ჭიდაობას, როკვას, კრივს და ჯოხებით ბრძოლას. აღნიშნავს გაკვრით ხელოსნობას და ვაჭრობას.

„ამა ქალაქის მცხოვრებნი აღრცელებდნენ თავიანთ ვაჭრობას რუსეთსა, თურქეთსა და სპარსეთში და მაშასადამე, აქ უხვად არის საქონელი, ამა მშვენიერი ქვეყნებიდან შემოზიდული“.

ავთანდილ თუმანოვს თავის წიგნში მოჰყავს ბიოგრაფია პოეტ სტეფანე ფერშანგოვისა, რომელიც გორში დაიბადა 1773 წელს.

ავთანდილი ამით ამტკიცებს, რომ საქართველოს მეფობის დროს გორში მრავალი ცნობილი ისტორიული პირი დაბადებულა და აღზრდილაო.

გორში სწავლა-განათლების შესახებ ავთანდილ თუმანოვი ამბობს: „იქაური მოქალაქენი გულმოდგინეთ ცდილობენ თავიანთი შვილები კეთილად აღზარდონ. ისინი ბავშვების ჭაბუკ გულში ნერგავენ სიყვარულს თავისუფალი მეცნიერებათადმი, რომლებიც ახლოა საღვთო სჯულსა და საერთოდ საღვთო წერილზე, აგრეთვე ღრამატიკისადმი, ისტორიისადმი, არითმეტიკისადმი, ხოლო ისინი, ვინც სამღვდელოებისათვის არის განკუთვნილი, სწავლობენ ღვთის მეტყველებასაც“.

სწავლის სურვილი გორელ მოქალაქეთა შორის დიდი უნდა ყოფილიყო და ამ მხრივ საინტერესოა პროექტი გორში სემინარიის დაარსებისა საქართველოს სამეფოს არსებობის დროს, თბილისისა და თელავის სემინარიის მსგავსად. ეს პროექტი უნდა განხორციელებულიყო გიორგი მე-12-ს მეფობის დროს, მაგრამ იგი ისეთივე უდღეური გამოდგა, როგორც თვით გიორგის მეფობაც.

ავთანდილი არ ივიწყებს გორის ქალებს და წიგნის სპეციალურ თავში აღწერს მათ სიტურფეს, სათნოებას და დანარჩენ მრავალ დადებით თვისებებს.

„შეუძლიათ დაიჩემონ უპირატესობა სხვა მეზობელ ქალაქთა ქალების მიმართ, რომელთაც აღემატებიან თავიანთი სულიერ და ხორციელ ნიჭთა მეოხებით!!...

წიგნის დასასრულს ავთანდილ თუმანოვი სწერს:

„აჰა დასასრული ამა მოკლე აღწერილობისა მშვენიერი ქვეყნის, დასახლებულისა ისეთი მცხოვრებლებით, რომელნიც ოდესღაც ჰმირავდნენ თურქებს, ფარსებს და ლეკებს, ერთთ, ვითა დამპყრობელთ უკვე დროთა განმავლობაში განდევნიდნენ ქალაქიდან, ხოლო სხვათ არ უშვებდნენ მის სიახლოვეს; გარნა მესამეთ თავს ესხმოდნენ და იბრუნებდნენ თავიანთ ტყვეთ და ნივთთ, ყაჩაღურად მათთგან გატაცებულთ; მცხოვრებნი ესე, რომელთაც საქართველოს მეფენი საკადრისად აფასებდნენ და განუჩენდნენ განსაკუთრებულ პრივილეგიას, რაც ბატონიშვილის დავითის რეგენტობისას უფრო და უფრო გაცხოველდა, ესოდენ იყვნენ შერაცხულ უპირატესობით, რომ როდესაც მოხდებოდა რაიმე ამბავი და საჭირო იყო ელჩობა საქართველოს სამეფო კარისაგან თურქეთის, ან სპარსეთის კარის წინაშე, გზავნიდნენ გორელ მოქალაქეთ, ეჰვი არ არის რომ მათ ესე დაიმსახურეს თავიანთი ყოფაქცევით, განათლებით, ზნეობით, საქმეში გამოცდილებით და ენამჭევრობით“.

ავთანდილ თუმანოვის წიგნი ყოველმხრივად საინტერესოა და საჭიროა მისი ცალკე გამოცემა ისტორიულ კომენტარიებისა და თუმანიშვილის შესახებ დაწერილებითი ცნობების დართვით.

---

*) ავთანდილ თუმანოვის წიგნი რუსულიდან მთლიანად თარგმნილია ი. ზურაბიშვილის მიერ.

პასუხისმგებელი რედაქტორი შ. რადიანი.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახახლე) ტელეფონი 8—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—635